საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 84 (2187) ხუთშაბათი, 2 მაისი, 1996 წელი. ფასი 30, თბილისის გარეთ 35 თეთრი.

ქუთაისში, ტრადიციულ დღესასწაულზე

2 მაისს ქუთაისში იწყება და 6 მაისამდე გასტანს სიყვარულის, ერთგულების, მიტევებისა და თანადგომის დიდი დღესასწაული. ქალაქის ტრადიციულ დღესასწაულზე — ორმაისობაზე — ქუთაისს ეწვევა საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე. იგი მონაწილეობას მიიღებს იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციის სხდომაში, დიდი სტუმრობის ღონისძიებებში, რომლებზეც იმერეთი უმასპინძლებს ბაგრატიონთა სამეფო გვარის, საქართველოში აკრედიტებულ საზღვარგარეთის ქვეყნების საელჩოების, დიპლომატიური კორპუსის, აღმასრულებელი ხელისუფლების, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს.

* * *

1 მაისს ქუთაისში ჩავიდნენ საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია.

პრეზიდენტის პრესსამსახური — საქინფორმი.

ქუთაისი, 1996 წლის 30 აპრილი



მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქმა, უწმინდესმა ალექსი მეორემ და სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ ჩაატარეს პარაკლისი გელათის სამონასტრო კომპლექსში.



მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქმა, უწმინდესმა ალექსი მეორემ და სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ მოინახულეს ბაგრატის საკათედრო ტაძარი.

გიორგი შარაშენიძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი ქუთაისს ეწვია

ვიზიტი

30 აპრილს მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდესი პატრიარქი ალექსი მეორე და მისი თანმხლები რუსეთის სამღვდელოების წარმომადგენლები ქუთაისს ეწვივნენ. პატრიარქს ახლდა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია მეორე.

რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურმა დაათვალიერა გელათის სამონასტრო კომპლექსი, სადაც სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქთან ერთად აღავლინა წირვა, რომელსაც დაესწრნენ ქუთაისისა და იმერეთის რეგიონის რუსული დიასპორის წარმომადგენლები.

მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდესმა პატრიარქმა მოინახულა გელათის სასულიერო აკადემია.

ნაშუადღევს მისმა უწმინდესობამ ალექსი მეორემ დაათვალიერა უძველესი მართლმადიდებელი ბაგრატის ტაძარი.

ჟურნალისტებთან საუბრისას მან განაცხადა, რომ საქართველოს სულიერი კულტურის უძველესმა ძეგლებმა მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურმა გამოთქვა რწმენა, რომ სულიერად აღორძინდება საქართველო, რომელსაც, პატრიარქის აზრით, დიდი და ნათელი მომავალი აქვს.

30 აპრილს საღამოს მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდესი პატრიარქი ალექსი მეორე თბილისს დაბრუნდა.

დამთავრდა რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურის ვიზიტი საქართველოში

1 მაისს დამთავრდა მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის ალექსი მეორის ვიზიტი საქართველოში. ნაშუადღევს მისი უწმინდესობა ალექსი მეორე თბილისიდან ერევანს გაემგზავრა. აეროპორტში რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაური და მისი დელეგაციის წევრები გააცილეს სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ, უმაღლესი ქართული სამღვდელოების, რესპუბლიკის ხელმძღვანელობის წარმომადგენლებმა.

იმავე დილით რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის დელეგაციის წევრები მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის ალექსი მეორის მეთაურობით სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია მეორის თანხლებით ეწვივნენ საქართველოს ხელოვნების მუზეუმს და დაათვალიერეს მისი ოქროს ფონდის საგანძური.

შეაფასა რა თავისი ახლანდელი ვიზიტი საქართველოში, მისმა უწმინდესობამ ალექსი მეორემ აღნიშნა, რომ ყველა საკითხში, რომლებიც განსახილველად დასახული იყო საქართველოს ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკების დროს, მიღწეულია ურთიერთგაგება. რუსეთისა და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიები ისტორიულად მეგობრობით იყვნენ დაკავშირებული, ხაზგასმით აღნიშნა მან, დღევანდელ პირობებში კი ეს ურთიერთობა ახალი შინაარსით ივსება. როგორც რუსეთში, ისე საქართველოში ეკლესიის წინაშე დგას პრობლემები, რომლებსაც ვხედავთ და რომელთაგან ბევრი ერთად უნდა გადავჭრათ, — თქვა რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურმა. დასახულია ორი ავტოკეფალური ეკლესიის თანამშრომლობის კონკრეტული მიმართულებანი, რომლებზეც იმუშავებენ საქართველოშიც და რუსეთშიც. მისმა უწმინდესობამ მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქმა ალექსი მეორემ განაცხადა, რომ ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაური, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია მეორე მოსკოვში მიიწვია. ამ ვიზიტის ზუსტი ვადები ჯერჯერობით განსაზღვრული არ არის. სავარაუდოდ, იგი გაიმართება წლეულს შემოდგომაზე. საქინფორმი.

მიღება

აფხაზეთი: ჯერ კიდევ არ თქმულა მთელი სიმართლე

30 აპრილს საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო ცნობილი რუსი მეცნიერი და პუბლიცისტი სვეტლანა ჩერვონაია, ავტორი გახმაურებული წიგნისა „აფხაზეთი-1992: პოსტკომუნისტური ვანდეა“.

ქართველ მკითხველს კარგად ახსოვს ის განუზომელი მნიშვნელობა, რომელიც რუსი ავტორის დოკუმენტურმა მონათხრობმა შეასრულა კონფლიქტთან დაკავშირებით საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაში, მით უმეტეს, რომ წიგნი მკითხველის სამსჯავროზე სწორედ ისეთ დროს გამოვიდა, როცა, აფხაზეთის კონფლიქტთან დაკავშირებული ინფორმაცია სრულიად არაობიექტურად და დამახინჯებულად ასახავდა რეალურ ვითარებას.

ეს წიგნი არის არა მარტო გამოკვლევა და მოვლენათა ობიექტური ასახვა, არამედ გაფრთხილებაც აგრესიული სეპარატიზმის საშიშროებასთან დაკავშირებით, ითქვა შეხვედრაზე, ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ უამრავი მასალაა გამოქვეყნებული აფხაზეთის კონფლიქტთან დაკავშირებით, ჯერ კიდევ არ არის ნათქვამი სრული სიმართლე იმის შესახებ, თუ ვინ და რა მიზნით გეგმავდა ძმათამკვლელ ომს.

ამჟამად სვეტლანა ჩერვონაია მუშაობს მორიგ წიგნზე, რომლის უმთავრესი თემაა მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის დამოკიდებულება მსოფლიოში მიმდინარე კონფლიქტებისა და, საერთოდ, იმ პროცესების მიმართ, რომლებსაც დიდძალი მსხვერპლი და ნგრევა ახლავს თან, როგორ რეაგირებს პროგრესული კაცობრიობა ამგვარ მოვლენებზე და საკმარისია თუ არა რეაგირების ეს ხარისხი აგრესიული სეპარატიზმის აღმოსაფხვრელად.

შეხვედრაში მონაწილეობდა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი როინ მეტრეველი.

პრეზიდენტის პრესსამსახური — საქინფორმი.

საქართველოს პარლამენტის
დადგენილება
საქართველოს არმიის დღის დაწესების შესახებ

ქვეყნის დაცვისათვის მოსახლეობის მუდმივი მზადყოფნის, საქართველოს შეიარაღებულ ძალებში მხედრული სულის გაძლიერების, არმიის ერთიანობის განმტკიცებისა და სამხედრო მოსამსახურეების სამშობლოსადმი სიყვარულის გრძნობით აღზრდის მიზნით საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. დაწესდეს „საქართველოს არმიის დღე“.
2. „საქართველოს არმიის დღე“ აღინიშნოს ყოველი წლის 30 აპრილს.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე
ზურაბ ჟვანია.

თბილისი, 1996 წლის 30 აპრილი.

მიეძღვნა საქართველოს არმიის შექმნის ხუთი წლისთავს

30 აპრილს თბილისის ოფიცერთა სასახლეში გაიმართა საქართველოს არმიის შექმნის ხუთი წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო საღამო, რომელსაც ესწრებოდნენ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია, თავმჯდომარის მოადგილეები გიორგი კობახიძე და ვახტანგ ყოლბაია, საქართველოს თავდაცვის მინისტრი ვარდიკო ნადიბაიძე, სხვა ოფიციალური პირები.

ჯარისკაცებს დღესასწაული მიულოცეს თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელებმა, ქართული საზოგადოებრიობის თვალსაჩინო წარმომადგენლებმა. ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების ჯგუფის ხელმძღვანელობის მილოცვა საქართველოს თავდაცვის მინისტრს გადასცა გენერალ-ლეიტენანტმა ბოუკოვმა.

„ბედნიერი ვარ, რომ დღეს შემიძლია საქართველოს პარლამენტის სახელით მივულოცო ჯარისკაცებს საქართველოში პირველი არმიის დღე“, — განაცხადა თავის მისასალმებელ სიტყვაში ბატონმა ზურაბ ჟვანიამ. მანვე ხაზი გაუსვა საქართველოს შეიარაღებული ძალების მნიშვნელობას ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში.

თავდაცვის მინისტრმა ვარდიკო ნადიბაიძემ განსაკუთრებით გამორჩეულ ჯარისკაცებს და ოფიცრებს გადასცა სახელმწიფო ჯილდოები და ფულადი საჩუქრები.

საზეიმო საღამოს შემდეგ გაიმართა საქართველოს არმიის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო კონცერტი.

პარლამენტის პრესსამსახური — საქინფორმი.

სხვა გაზეთებიდან **ინტერვიუ**

ხელისუფლებიდან ბიზნესში და... პირიქით

„მე თავისუფალი კაცი ვარ და უკან დაბრუნების არ მეშინია“

ნიკო ლეკიშვილი — ყოფილი პარტიული ფუნქციონერი, იყო თბილისის ქალაქკომის მდივანი. 90-იანი წლების დასაწყისში ქრება პოლიტიკური ასპარეზიდან და მხოლოდ 1992 წელს გამოჩნდება არენაზე. მას ჯერ პარლამენტის წევრად ირჩევენ, შემდეგ პარლამენტის კომისიის თავმჯდომარედ. 1993 წლის ბოლოს უკვე მეორედ ჩაუდგა სათავეში დედაქალაქს, ამჯერად თბილისის მერის თანამდებობა დაიკავა. დღეს იგი სახელმწიფო მინისტრია, ხელისუფლებიდან ბიზნესში წასული, შემდეგ კი უკან, ხელისუფლებაში დაბრუნებული კაცი. ამას წინათ ტელევიზიით საინტერესო ფრაზა გაისმა, რომელიც შემდეგ პრესამაც გაიმეორა: „ნიკო ლეკიშვილი — თანამედროვე ქართული ბურჟუაზიის ფუძემდებელი“...

ჩვენი საუბარი, რომელიც ძირითადად ეკონომიკურ პრობლემებს შეეხებოდა, სწორედ ამ კითხვით დაიწყო.

(დასასრული მე-2 გვ.)

ქველმოქმედება

„ღვთისა და თქვენი კურთხევით მზად ვარ...“

ცნობილმა ქართველმა მხატვარმა-მონუმენტალისტმა, აკადემიკოსმა ზურაბ წერეთელმა თბილისში, წმინდა სამების ტაძრის მშენებლობის ფონდში გადარიცხა 20 ათასი ამერიკული დოლარი. ამასთან დაკავშირებით მან წერილი გაუგზავნა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია მეორეს. წერილში, კერძოდ, ნათქვამია: „გთხოვთ, ახალი კათედრალური ეკლესიის მშენებლობისათვის მიიღოთ ჩემი მოკრძალებული შენაწირი — 20 ათასი ამერიკული დოლარის ოდენობით.

ღვთისა და თქვენი კურთხევით მზად ვარ, უსასყიდლოდ შევასრულო მშენებარე ტაძრისათვის ნებისმიერი მხატვრული სამუშაო, რომელსაც საჭიროდ მიიჩნევთ.

როგორც თქვენთვის ცნობილია, ერთი ათეული წელია, რაც, ჩემი სახსრებით ვაგებ მონუმენტურ კომპლექსს „საქართველოს ჟამთააღმწერელი“. იგი მხატვრული საშუალებებით მოგვითხრობს საქართველოს ურთულეს ისტორიაზე, მის წმინდანთა და მეფეთა თავდადებაზე.

ნაგებობის პირველი სართული, რომლის ფართობი სამი ათას კვადრატულ მეტრზე მეტია, გათვალისწინებული მაქვს სასულიერო-სარიტუალო ღონისძიებებისათვის, აქ შესაძლებელი იქნება სხვადასხვა მასშტაბის რელიგიური რიტუალების გამართვა, ასევე უნიკალური რელიგიური და ისტორიული ექსპონატების გამოფენა“.

საქინფორმი.

მთავრობის სხდომა

ნებისმიერი სახელმწიფო პროგრამა, რაოდენ სრულყოფილიც უნდა იყოს, შეიძლება ქაღალდზე დარჩეს, თუ რეალურად არ დაუჭირეს მხარი ადგილებზე. ქვეყნისათვის პრიორიტეტულ დარგებში ტაქტიკისა და სტრატეგიის ამა თუ იმ სფეროს განვითარების პერსპექტივის განსაზღვრასთან ერთად ყოველი ასეთი პროგრამა ლოგიკურ გაგრძელებას უნდა პოულობდეს ქალაქებში, რაიონებსა და მხარეებში მისი განხორციელებისათვის კონკრეტულ ღონისძიებათა კომპლექსში. ამაზე იყო ლაპარაკი 30 აპრილს გამართულ საქართველოს მთავრობის გაფართოებულ სხდომაზე, რომელიც ქვეყნის პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის თავმჯდომარეობით მიმდინარეობდა.

სახელმწიფო პროგრამების განხორციელებას ყოველნაირად უნდა დავუჭიროთ მხარი ადგილებზე

დღის წესრიგში შეტანილი თითოეული საკითხის განხილვისას ხაზგასმით აღინიშნებოდა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს დღეს რესპუბლიკის წინაშე მდგომი რთული ამოცანების შესრულებისათვის ცენტრში და ადგილებზე აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების სინქრონული თანამოქმედების უზრუნველყოფას. აქ გამონაკლისი არ ყოფილა „გარემოს დაცვის შესახებ“ კანონის პროექტის განხილვაც, რომელმაც უნდა განსაზღვროს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს, საწარმოებს ორგანიზაციებს, დაწესებულებებსა და მოქალაქეებს შორის ძირითადი სამართლებრივი ურთიერთდამოკიდებულება რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე გარემოს რეგულირებასა და დაცვაში და მისი რესურსების გამოყენებაში. გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის ნინო ჩხობაძის მიერ წარმოდგენილმა ამ დოკუმენტმა საერთოდ დადებითი შეფასება დაიმსახურა. ამავე დროს, კანონპროექტის ცალკეული მუხლებისა და დებულებების გამო გამართულმა პრინციპულმა და დაინტერესებულმა სჯა-ბაასმა გამოავლინა ბევრი ისეთი საკითხი, რომლებიც ჯერ კიდევ დაზუსტებას საჭიროებს. ამასთან დაკავშირებით, გადაწყდა შეიქმნას სპეციალური კომისია, რომელიც გაითვალისწინებს სხდომაზე გამოთქმულ შენიშვნებსა და კონსტრუქციულ წინადადებებს, საბოლოოდ დაამუშავებს ამ პროექტს და შეათანხმებს მას შესაბამის სამინისტროებთან და უწყებებთან, მმართველობის რეგიონულ ორგანოებთან, რათა შემდეგ გამოიტანოს ქვეყნის პარლამენტის განსახილველად.

მთავრობის სხდომის განსახილველად გამოტანილი კიდევ ერთი პროექტი ეხებოდა რესპუბლიკისათვის ისეთ უაღრესად აქტუალურ პრობლემას, როგორიც არის მეცხოველეობაში სანაშენე საქმის განვითარება. ამ სფეროში შექმნილ მდგომარეობაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი რომ ერთი ძროხის პროდუქტიულობა ხშირად სანახევროდაც არ აღემატება მისი შენახვის ხარჯებს. ამავე დროს, საბაზრო ურთიერთობის ჩამოყალიბების პირობებში განსაკუთრებით იზრდება პირუტყვისა და ფრინველის სანაშენე შემადგენლობის გაუმჯობესებისათვის მუშაობის მოგვარების მნიშვნელობა, სხვაგვარად, როგორც ცნობილია, შეუძლებელია წარმოების რენტაბელობის უზრუნველყოფა, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს კერძო სექტორის განვითარებისათვის. სწორედ ამიტომ სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს მიერ შემუშავებული ეს კანონპროექტი, რომელიც განსაზღვრავს ამ დარგში რადიკალურ ცვლილებებს, პრაქტიკულად ყველა გამომსვლელმა მოიწონა, ამასთანავე, როგორც აღნიშნა ედუარდ შევარდნაძემ, უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ პარლამენტის მიერ ამ კანონპროექტის მიღებისთანავე სამინისტრომ განსაზღვროს მისი განხორციელების კონკრეტულ ღონისძიებათა გეგმა, რომელსაც საფუძვლად უნდა დაედოს ადგილებიდან შემოსული წინადადებანი, რომლებიც ამა თუ იმ რეგიონის სპეციფიკას ითვალისწინებს. პრეზიდენტის თქმით, აქ ბევრი რამ არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად ეფექტიანი იქნება პირუტყვისა და ფრინველის რეპროდუქციისა და მათი პროდუქტიულობის გადიდების საქმეში გლეხობისა და ფერმერთა მეურნეობებთან თანამშრომლობის ფორმები. ამასთან, ამ საქმეში პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს სწორედ კერძო სექტორს, რომლის მნიშვნელობა ბოლო დრომდე ჯეროვნად არ იყო შეფასებული, რის შედეგადაც აღმოჩნდა სწორედ ეს დარგი ასეთ სავალალო მდგომარეობაში.

სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილება სახელმწიფო კომისიის შექმნის შესახებ, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს ჯერ კიდევ შარშან რესპუბლიკაში დამტკიცებული ეროვნული პროგრამის განხორციელებას, რომლის მიზანია ბავშვებისა და ქალების მდგომარეობის გაუმჯობესება. კომისია იმუშავებს სახელმწიფო კანცელარიასთან და კოორდინაციას გაუწევს, აგრეთვე გააკონტროლებს ამ მიმართულებით ქვეყანაში მიმდინარე მთელ მუშაობას. განსაკუთრებული როლი ენიჭება კომისიის შემუშავებული პროგრამის განსახორციელებლად, სამინისტროებთან და უწყებებთან, ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის მოგვარებაში. როგორც სხდომაზე აღინიშნა, მთელ პოსტსაბჭოურ სივრცეში ასეთი პროგრამები ჯერჯერობით შემუშავებულია მხოლოდ რუსეთსა და საქართველოში, რომლებიც ერთ-ერთი პირველი შეუერთდნენ შესაბამის საერთაშორისო კონვენციებს.

განსაკუთრებით აქტუალურია დღეს პრობლემაც, რომელიც ქვეყანაში სახელმწიფოს ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელებას უკავშირდება. ამის დადასტურება იყო

(დასასრული მე-2 გვ.)

სიტუაცია

ერთი შეთითხნილი სიყალბის გამო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრესსამსახურის განცხადება

მიმდინარე წლის 29 აპრილს საინფორმაციო სააგენტო „იბერიამ“, რომელიც იმოწმებს ე. წ. „სარწმუნო წყაროებს“, გაავრცელა ინფორმაცია ასეთი სათაურით: „ასლან აბაშიძე ემუქრება ხელისუფლებას“. მასში ნათქვამია:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ასლან აბაშიძე დაემუქრა საქართველოს ხელისუფლებას, რომ თუ უახლოეს მომავალში არ იქნება განსაზღვრული აჭარის სტატუსი, როგორც სუვერენული საპრეზიდენტო რესპუბლიკისა ერთიანი ფედერაციული საქართველოს შემადგენლობაში, იგი არ შეუწყობს ხელს კასპიის ნავთობის საქართველოს ტერიტორიაზე ტრანსპორტირების გეგმას“. (სტილი დაცულია).

აჭარის უზენაესი საბჭოს პრესსამსახური უფლებამოსილია ამასთან დაკავშირებით განაცხადოს: საააგენტო „იბერიის“ მიერ შეთითხნილი ეს სიყალბე არის არა თუ ყოველგვარ საფუძველს მოკლებული დეზინფორმაცია, არამედ ჟურნალისტური უპასუხისმგებლობის კონკრეტული ნიმუშიც, რომელიც ლოგიკური გაგრძელებაა იმ ამაზრზენი პასკვილომანიისა, უკანასკნელ ხანს აჭარისა და მისი ხელმძღვანელობის დისკრედიტაციისა და ცენტრალურ ხელისუფლებასთან დაპირისპირების მიზნით რომ იბეჭდება ზოგიერთი რესპუბლიკური გაზეთის ფურცლებზე.

დღეს ცხადი ხდება, რომ აჭარაში მიმდინარე დიდი კულტურული აღმშენებლობის, სიმშვიდისა და წესრიგის ფონზე, სააგენტო „იბერიაც“ და სხვა საინფორმაციო საშუალებანიც, ასე გულმოდგინედ და მიზანმიმართულად რომ ცდილობენ ე. წ. „ურჩი აჭარის“ სინდრომის დამკვიდრებას ჩვენი საზოგადოებრიობის შეგნებაში, ასრულებენ იმ ძალების დაკვეთას, რომლებიც მიზნად ისახავენ სიყალბისა და ცილისწამების გზით პოლიტიკური ატმოსფეროს დაძაბვას და დესტაბილიზაციის ახალი კერის შექმნას საქართველოში.

აჭარის უზენაეს საბჭოს, მის ხელმძღვანელს არაერთხელ განუცხადებიათ, რომ აჭარას არასოდეს შეუქმნია და მომავალშიც არასოდეს შეუქმნის პრობლემებს დედასაქართველოს, მის ერთიანობასა და მთლიანობას, მით უმეტეს, იმ დიდმნიშვნელოვანი პროექტების განხორციელებას, რომლებიც ჩვენი ქვეყნისა და ხალხის მომავალი კეთილდღეობისათვის არის დასახული.

აჭარის უზენაესი საბჭოს პრესსამსახური კიდევ ერთხელ მოუწოდებს ამგვარი დეზინფორმაციის დამკვეთებსაც და გამავრცელებლებსაც: — ახლა, როცა იქმნება პირობები ჩვენი ქვეყნის უმძიმესი პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისიდან გამოყვანისათვის, აღმშენებლობის რეალური ატმოსფეროს შექმნისათვის, დროა, საინფორმაციო საშუალებებმა თავი შეიკავონ აბსურდულ „სარწმუნო წყაროებზე“ აგებული დეზინფორმაციებისაგან და ერთხელ და საბოლოოდ შემობრუნდნენ სიმართლისა და ჭეშმარიტებისაკენ, რომელიც სუფევს აჭარაში და, რესპუბლიკის პრეზიდენტის თქმით, მისაბაძი მაგალითია მთელი საქართველოსათვის.

ხელისუფლებიდან ბიზნესში და ... პირიქით

„მე თავისუფალი კაცი ვარ და უკან დაბრუნების არ მეშინია“

(დასასრული)

— რამდენად რეალურად მიგაჩნიათ ამგვარი შეფასება?

— ჩემთვის მოულოდნელი შეფასებაა, ვფიქრობ გადაჭარბებული. საქართველოში ყოველთვის იყვნენ ენერგიული ადამიანები, რომლებიც თვით კომუნისტური რეჟიმის დროსაც ცდილობდნენ ჰქონოდათ საკუთარი საქმე. 80-იანი წლების მიწურულს მათ თავიანთი ნიჭის გამოვლენის ასპარეზი მიეცათ. მე, ჩემს მეგობრებთან ერთად, ერთ-ერთი მათგანი ვიყავი, ვინც ამ ახალ მოძრაობაში ჩაება და არა ერთადერთი. ყველაფერი კი ოჯახური ფირმიდან დაიწყო. მე, თემურ ჭყონია და რამდენიმე ახლობელი შევამხანაგდით და ჩამოსასხმელი ხაზების გამოშვება დავიწყეთ.

— შეგაწყვეტინებთ, ვინ იყო მაშინ ნიკო ლეკიშვილი?

— თანამდებობით არავინ, რიგითი თბილისელი. თავდაპირველად, მცირე კაპიტალით დავიწყეთ, შემდეგ კი მთავრობისგან სახელმწიფო სესხი ავიღეთ, რომელიც 6 თვეში გავისტუმრეთ. საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად აეწყო, რადგან ფირმაში ისეთი ხალხი შეიკრიბა, ვინც საქმის მცოდნე, პროფესიონალი იყო და ორგანიზატორული მუშაობის დიდი გამოცდილებაც ჰქონდა დაგროვილი.

წარმატებებთან ერთად გაჩნდა რწმენა და წარმოების გაფართოების ინტერესი. ჩვენ დავდექით არჩევანის წინაშე, ვისზე აგვეღო ორიენტაცია, რუსეთზე თუ დასავლეთზე და გადაწყვეტილება ამ უკანასკნელის სასარგებლოდ მივიღეთ. რომ არა მაშინდელი სწორი არჩევანი, ჩვენ დღესაც ლიმონათის ჩამოსასხმელი კუსტარული ქარხნის დონეზე დავრჩებოდით. დღეს კი „კოკა-კოლა“ მთელს კავკასიაში ერთ-ერთი წამყვანი მრავალდარგოვანი ფირმაა, რომელსაც უზარმაზარი პერსპექტივა და გეგმები გააჩნია. ბიზნესში გატარებული ორნახევარი წელიწადი ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო იყო ჩემს ცხოვრებაში. ამ წლებმა ძალიან ბევრი მასწავლა და მომცა. ვფიქრობ, ბიზნესში რომ არ ჩავბმულიყავი, მენტალიტეტი სხვაგვარი მექნებოდა. ბიზნესის წყალობით მე თავისუფალი ვარ, ახალი ეკონომიკური ურთიერთობებისადმი მაქვს მკვეთრად გამოხატული დადებითი პოზიცია და ცვლილებების არ მეშინია. მე თანამდებობას სულაც არ ვარ მიჯაჭვული და, როდესაც ამის საჭიროება დადგება, დავუბრუნდები ფირმას, სადაც ბევრი რამ ჩემი ხელითაა შექმნილი.

ერთხელ ერთმა ჟურნალისტმა მკითხა: რით ირჩენთ თავს, კუპონებითო?

არასოდეს დამიმალავს, რომ „კოკა-კოლას“ ერთ-ერთი დამფუძნებელი ვარ. ვერც ერთი კაცი საქართველოში ვერ იტყვის იმას, რომ სხვა რომელიმე ორგანიზაციასთან ან ფირმასთან, გარდა თანამდებობრივი და საქმიანი ურთიერთობებისა, სხვა კავშირი მქონდეს. სიმართლე გითხრათ, ერთი პერიოდი ხელისუფლებაში დაბრუნებაზე არც ვფიქრობდი, მაგრამ 1992 წლის არჩევნებში კენჭი ვიყარე ბიზნესმენებისა და მეწარმეების გარკვეული ნაწილის დაჟინებული თხოვნით. მათი პოზიცია ჯანსაღი და გასაგები იყო: ახალ დროში როგორც საკანონმდებლო, ისე აღმასრულებელ ხელისუფლებაში უნდა ყოფილიყო მათი ინტერესების დამცველი და გამტარებელი — ბიზნესმენების, როგორც ახალი, ქვეყნისათვის სიკეთის მომტანი ფენის და არა რომელიმე კლანის თუ გაერთიანების. ვფიქრობ, სწორად განსაჯე, თუმცა არც ის არის დემოკრატიული საზოგადოებისათვის უცხო, თუ ბიზნესმენების ან მეწარმეების ერთი ჯგუფის ინტერესების ლობირებას შეეცდებიან პოლიტიკოსები, მაგრამ საამისოდ უნდა არსებობდეს გამართული ნორმატიული ბაზა და პოლიტიკური კულტურის მაღალი დონე. წინააღმდეგ შემთხვევაში ლობირება მახინჯ ფორმებს მიიღებს, ამიტომ ჩვენთან გარკვეული სახით არსებული ეს მოვლენა ნაადრევად მიმაჩნია. მე ვთვლი, რომ დღეს ბიზნესიდან ხელისუფლებაში მოსულმა კაცმა მთელი ფენის, ყველა ბიზნესმენის ინტერესები უნდა დაიცვას.

ასმაგად ასეა საჭირო ჩვენთან, სადაც ეს-ესაა ყალიბდება ჯანსაღი ბიზნეს-გარემო და ბიზნესი. ასე რომ, ხელისუფლებიდან ბიზნესში და პირიქით, ბიზნესიდან ხელისუფლებაში მოძრაობა ჩვეულებრივი პროცესია, რომელსაც სრულიად ბუნებრივად ვუყურებ და ვიღებ. მე არც მოსვლის მეშინია და არც წასვლის. ვცდილობ, სადაც ვარ, იქ შესაძლებლობის მაქსიმუმი გავაკეთო. ყოველ შემთხვევაში, არც ასაკი და არც ხასიათი მაძლევს უფლებას გულხელდაკრეფილი ვიყო. თვითკმაყოფილება ჩემი პოზიცია არასოდეს გახდება, მოძრაობისა და საქმის გარეშე, უბრალოდ, არ შემიძლია. მარტინ ლუთერის ცნობილი გამონათქვამისა არ იყოს, აქა ვდგავარ და სხვაგვარად არ ძალმიძს.

— დღეს ბევრს ლაპარაკობენ „კოკა-კოლას“ და „ლაღიძის წყლების“ დაპირისპირებაზე...

— აბსურდია. ლაღიძეების ერთ-ერთი მემკვიდრე ვახტანგ ლაღიძე ჩვენი პარტნიორია და ეს არ არის შემთხვევითი. ჩვენ აქამდე მეტი ყურადღება რომ ვერ მივაქციეთ „ლაღიძის წყლებს“, მხოლოდ იმიტომ, რომ ასეთი პროექტის ხორცშესხმას დიდი ფინანსები სჭირდება. ვინც საკითხს სხვაგვარად აყენებს, ის ბიზნესის ელემენტარულ ანა-ბანაში ვერ ერკვევა. ცარიელი პატრიოტიზმით შორს ვერ წავალთ, საჭიროა გათვლილი და მოზომილი ნაბიჯები, რომელსაც ჩვენ უკვე ვდგამთ და იმედი გვაქვს, სულ მოკლე ხანში ყველა დარწმუნდება, რომ ეს არ არის ლიტონი სიტყვები. ვფიქრობ, ქართული უალკოჰოლო სასმელები ძველ დიდებას დაიბრუნებენ, მაგრამ აქეთკენ მოზომილი და კარგად გააზრებული ნაბიჯებით სიარულია საჭირო.

— ვინ არის ბიზნესმენი, ქვეყნის მარჩენალი თუ...

— წარსულის მენტალიტეტის გადმონაშთებმა უამრავი გაგრძელება შეიძლება მოუძებნონ ამ კითხვას. ბიზნესმენი ქვეყნის ბატონ-პატრონია, აღმშენებელი, რომელიც სისხლხორცეულადაა დაინტერესებული ფული „კეთებასა“ და მოგების მიღებაში.

პრაქტიკაში მისი ეს სწრაფვა არის ახალი სახლები, ახალი სამუშაო ადგილები, მომსახურების ახალი ფორმები და ობიექტები. კვების პროდუქტების წარმოება და, საერთოდ, ყველაფერი ის, რასაც აღმშენებლობა და საზოგადოების კეთილდღეობა ჰქვია.

დღეს ყველას აწუხებს დაბალი ხელფასები და პენსიები, მოსახლეობის დაბალი მსყიდველუნარიანობა და სიღარიბე. მიზეზთა შორის ბევრ რამეს და ვინმეს ასახელებენ, მაგრამ მიზეზთა მიზეზი ისაა, რომ ქვეყანას არ ჰყავს გადამხდელი. ბიზნესმენი და მეწარმე ის პირია, ვინც იხდის გადასახადებს, აყალიბებს ბიუჯეტს, რომელიც საბოლოო ჯამში ისევ ქვეყნის მოქალაქეების ინტერესებს ხმარდება და მათვე უბრუნდებათ სოციალური პროგრამების სახით.

ამჟამად სახელმწიფო ბიუჯეტის 60 პროცენტი კერძო სექტორიდან შემოსული თანხებია. სახელმწიფო ორგანიზაციების წარმომადგენლები სახელმწიფო კანცელარიაში ათენ-ალამებენ და ხან გადასახადებისაგან გათავისუფლებას გვთხოვენ, ხანაც ელექტროენერგიის ხარჯების დაფარვას. კერძო მეწარმე თვითონ უვლის საკუთარ თავს, ის წაგებაზე არასოდეს იმუშავებს და, რაც მთავარია, ბიზნესი ცდილობს ჩამოაყალიბოს და შეინარჩუნოს ძლიერი საშუალო ფენა. მისთვის ეს ჰაერივითაა საჭირო, რადგან ბიზნესის „საკეთებლად“ აუცილებელია სხვაც შეძლებული იყოს. სხვაგვარად ქვეყანაში მსყიდველუნარიანობა დაბალი იქნება. მყიდველის გარეშე არ არსებობს ბიზნესი.

ასე ერთმანეთზეა ყველაფერი გადაჯაჭვული. ბიზნესმენი და მეწარმე ადამიანთა ის კატეგორიაა, რომელიც ახალი საქართველოს აღმშენებლობის ცენტრალური ფიგურაა, რადგან იგი თავისი არსებობის წესით სისხლხორცეულადაა დაინტერესებული საზოგადოებრივი წარმოებისა და კვლავწარმოების გაფართოებასა და ამ პროცესის შექცევად ხასიათში, საზოგადოებრივი სიმდიდრის ზრდასა და ეროვნული სახელმწიფოს გაძლიერებაში. აქედან გამომდინარე, საზოგადოების დამოკიდებულებაც მათდამი ადეკვატური უნდა იყოს.

სამწუხაროდ, ამ მხრივ, ჩვენში ყველაფერი როდია რიგზე. უნდა ვაღიაროთ, რომ დღეისათვის ჯერ კიდევ არ ჩამოყალიბებულა ბიზნესის მხარდამჭერი მენტალიტეტი. მე პირადად, ყველანაირად ვცდილობ მხარი დავუჭირო იმ ხალხს, ვინც საქმეს აკეთებს. ბიზნესი არაორდინარულ ნიჭსა და ახალგაზრდულ ენერგიას ითხოვს. ამიტომ ბიზნესი მაინც უპირატესად ახალგაზრდების სარბიელია. ეს კანონზომიერია, ისინი ხომ სხვაგვარად გაზრდილები არიან და თავისუფალნი ჩვენი თაობისთვის დამახასიათებელი ძველი მენტალიტეტის გადმონაშთებისაგან.

ნიმუშად შემიძლია ის ჯგუფი დავასახელო, რომელიც ძირითადად ახალგაზრდებისაგან შედგება. მათ უცხოელებთან ერთად „ბორჯომის“ წარმოებას მოჰკიდეს ხელი და დღეისათვის ორ-ორნახევარ მილიონ ბოთლს ასხამენ. სამ წელიწადში ეს რაოდენობა 150-200 მილიონს მიაღწევს. ეს ციფრებია, მაგრამ ციფრები, რომლის უკან დიდი რაოდენობით სამუშაო ადგილი და შემოსავლები დგას, როგორც ბორჯომის ხეობის, ისე მთლიანად ქვეყნისათვის, აღნიშნული პროექტი მარტო სასმელი წყალი ან ჯგუფის საქმე არ არის. ეს უზარმაზარი ინფრასტრუქტურა და ათასობით ცხოვრებააწყობილი ადამიანია.

მთავრობამ ყველაფერი უნდა გააკეთოს ასეთი ბიზნესის ხელშესაწყობად. მისი საქმე არ არის რომელიმე საწარმოს კონკრეტული პრობლემის გადაჭრაზე ფიქრი. მთავრობამ უნდა შექმნას ისეთი გარემო, სადაც ნებისმიერ პიროვნებას და ორგანიზაციას შესაძლებლობა ექნება მაქსიმალურად გამოავლინოს და განავითაროს საკუთარი ნიჭი და უნარი.

დღითიდღე ვრწმუნდებით, რომ ყველაფერი მაინც პიროვნებაზეა დამოკიდებული. ერთნაირ პირობებში მყოფი ორი საწარმოდან მუშაობს ის, ვისაც ენერგიული და გონიერი ხელმძღვანელი ჰყავს. მას კი, გარშემო, როგორც წესი, ჭკვიანი, საქმის მცოდნე და პროფესიონალი კადრები ჰყავს შემოკრებილი, რომელთაც ნებისმიერი ამოცანის გადაჭრა ხელეწიფებათ.

დასკვნის სახით ვიტყვი, რომ საქართველოს ეროვნული სახელმწიფოს აღმშენებლობის გრძელ ჯაჭვში ბიზნესი და ბიზნესმენი არის ის მთავარი რგოლი, რომლის ამოწევითაც მთელი ჯაჭვის ამოწევას შევძლებთ. დღევანდელი მთავრობის პრინციპული პოზიცია ასეთია და ჩვენ არ ვაპირებთ მას გადავუხვიოთ.

— თქვენ ბრძანეთ, რომ ყველანაირად უწყობთ ხელს ბიზნესის განვითარებას. გარშემო კი გაუთავებლად ისმის საყვედური იმის გამო, რომ მკაცრი საგადასახადო პოლიტიკით ხელისუფლება ძირშივე კლავს მეწარმეობას...

— ასეთ კატეგორიულ შეფასებებს ვერ დავეთანხმები. აღნიშნული საკითხი მხოლოდ ჩვენთვის არ წარმოადგენს პრობლემას. მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში მიმდინარეობს ამ საკითხზე დავა. თუ წამყვანი ეკონომიკის ქვეყნების მეწარმეები ვერ ეგუებიან გადასახადებს, წარმოიდგინეთ, რა იქნება ჩვენთან.

ჩვენში საგადასახადო პოლიტიკის პრობლემებიდან ორ საკითხს გამოვყოფდი. პირველი, გასათვალისწინებელია ფსიქოლოგიური მომენტი. ჩვენ არ ვიყავით ამგვარ გადასახადებს მიჩვეულნი და ცხადია, ძნელია მათ უცებ შეეგუო. მეორე, და რაც ყველაზე არსებითია, მოქნილი საბაჟო და საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბება არ არის ადვილი საქმე. მაღალი გადასახადები არ იძლევა შემოსავლების ზრდას. მაგალითისათვის სატელეფონო სისტემას დავასახელებ. აქ შემოსავლები იზრდება, მაგრამ მცირდება აბონენტთა რაოდენობა, ეს კი იმას ნიშნავს, რომ შემცირდა სამუშაო ადგილებიც. თავად განსაჯეთ, რა გვირჩევნია, უფრო მეტს მოვემსახუროთ და მცირე მოგებით მეტი მივიღოთ, თუ პირიქით. „კოკა-კოლა“ პირველ ვარიანტს ამჯობინებს და შედეგიც თვალსაჩინო აქვს.

დღეს ბევრი რამ სახელმწიფო მოხელის ჭკუასა და მოქნილობაზეა დამოკიდებული. სამწუხაროდ, ჯერჯერობით მათი მიდგომები და პოზიცია ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნებს. ზოგჯერ ხდება ხოლმე, როცა რომელიმე დადგენილებას მივიღებთ, და აღმოჩნდება, რომ იგი უკვე მოძველდა.

უნდა ჩამოვაყალიბოთ ისეთი საკანონმდებლო ბაზა, რომელიც ხელისუფლებას ლავირების საშუალებას მისცემს. დღეს უნდა ვიმოქმედოთ დღეის მოთხოვნების შესაბამისად, ხვალ კი, როცა დავინახავთ, რომ ბაზარი გაჯერდა და აღარ გვჭირდება ამა თუ იმ საქონლის იმპორტი, შევცვლით პოლიტიკას ისე, რომ სხვა საჭირო პროდუქცია შემოვიდეს.

ასეთი მიდგომების ჩამოყალიბება დღეის უპირველესი ამოცანაა და შემიძლია გითხრათ, რომ პარლამენტი, აღმასრულებელი ხელისუფლება საგადასახადო და საბაჟო სამსახურში მუშაობენ ახალ კანონმდებლობაზე, რომლითაც მეწარმეები უკმაყოფილონი არ დარჩებიან.

— როგორც საზოგადოებამ იცის, თქვენ უპირატესობას მცირე ბიზნესის განვითარებას ანიჭებთ. ზოგიერთი პირიქით ამტკიცებს, რომ თუ მძიმე მრეწველობა ფეხზე არ დადგა, არაფერი გამოვა.

— მე ისევ ძველ პოზიციაზე ვრჩები. მიმაჩნია, რომ საქართველოს მცირე და საშუალო ბიზნესი გადაარჩენს. მაგალითისათვის გერმანიას დავასახელებ. მისი ეკონომიკის 99 პროცენტს მცირე და საშუალო წარმოება შეადგენს. საკითხავია, შეუძლია კი საქართველოს დღეს მძიმე მრეწველობის განვითარება. არ დაგვავიწყდეს, რომ საბჭოთა პერიოდში ჩვენში ბევრი ისეთი წარმოება შეიქმნა, რომელსაც დამოუკიდებლობის დროს პერსპექტივა არ გააჩნია.

გასათვალისწინებელია მსოფლიოში მიმდინარე პროცესებიც. ავიღოთ თუნდაც „ჯენერალ-მოტორსი“. იგი რამდენიმე წარმოებად დაიშალა. დღეს მათ მხოლოდ გარკვეული ინტერესები აერთიანებთ, თორემ პრინციპში ისინი დამოუკიდებელი საწარმოები არიან. მსგავს პროცესებს აქვს ადგილი გერმანიაში, საფრანგეთში. ასე რომ, გიგანტომანიას მსოფლიოში უკუპროცესებიც ახასიათებს.

სულ სხვა პრობლემაა იმის შენარჩუნება, რაც გვაქვს, მაგრამ ბევრ მათგანს მოუწევს პროფილის შეცვლა, რადგან ძნელია რომელიმე კონკურენტუნარიანი პროდუქცია შექმნას. მაგალითად, თბილისში გვაქვს ტელევიზორების უზარმაზარი ქარხანა. მსოფლიო ბაზრის დღევანდელი მდგომარეობიდან გამომდინარე აშშ-შიც კი ხელი აიღეს აღნიშნულ წარმოებაზე. ჩვენ რითი ვაპირებთ შევეჯიბროთ გინდა გერმანიას და გინდა იაპონიას? უმჯობესია და აუცილებელი მსოფლიო ბაზარზე წარვსდგეთ იმით, რისი განვითარების თავი და პირობებიც გვაქვს და რაც ყველაზე უკეთ შეგვიძლია. ასეთი რამ კი არის მსუბუქი და კვების მრეწველობა, მომსახურების სფერო, მცირე და საშუალო წარმოება.

ამიტომ მიმაჩნია, რომ საქართველოს მომავალი მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაზე არის დამოკიდებული.

— ამბობენ, რომ კერძო ვიზიტით ხშირად ჩადიხართ გერმანიაში.

— სამწუხაროდ, ამისთვის არც დრო მაქვს და არც კერძო ინტერესები. გერმანიაში სულ რამდენჯერმე ვიყავი და ყოველთვის ოფიციალურ ვიზიტად, სხვათა შორის, ზაარბრიუკენელებმა დიდი დახმარება გაგვიწიეს, როცა თბილისის კადასტრის შემუშავების პროგრამა დააფინანსეს. აღნიშნული პროექტი მალე დაიწყებს მოქმედებას.

— იმასაც ამბობენ, რომ ნიკო ლეკიშვილი „ჯიხურს ჯიხურში ხვამს“...

— მე სხვა რამეც გავიგე, თითქოს თბილისს სახელი შეუცვალესო. ამგვარი ხმები შემთხვევით არ ჩნდება. ასეთი მითქმა-მოთქმის უკან კონკრეტული პირები დგანან, რომელთაც, რადაც არ უნდა დაუჯდეთ, სურთ ჩირქი მომცხონ და სახელი გამიტეხონ, არაერთხელ მითქვამს და ახლაც გავიმეორებ, რომ მე ვარ მსხვილი ფირმის წარმომადგენელი და სხვა შემოსავლები არ მაქვს და არც მჭირდება.

რაც შეეხება დასმულ კითხვას, შემიძლია გიპასუხოთ, რომ ყველამ კარგად იცის, თუ ვინ დაიწყო პირველმა ქალაქში ჯიხურების წინააღმდეგ ბრძოლა. ჩემი მერად ყოფნის დროს გაიწმინდა რუსთაველი, ცენტრალური ქუჩები, ვაგზლის მოედანი. მე წინააღმდეგი ვარ ძალოვანი მეთოდების გამოყენების და მიმაჩნია, რომ ბაზარი ყველაფერს თავისით დაარეგულირებს. მაგრამ ზოგჯერ იძულებული ხდები ადმინისტრირებას მიმართო. დღეისათვის მერიის პრინციპულ პოზიციას უკვე ეკონომიკური იძულება შეენაცვლა. ცენტრში ჯიხურის დგომა აღარ არის მომგებიანი. ისინი „სუპერ-მარკეტებმა“ და გაზრდილმა გადასახადებმა შთანთქეს, ამიტომ, ჯიხურების გარეუბნებისაკენ „გადასვლა“ ბუნებრივი პროცესია, ცივილიზებული ეკონომიკა, რომლის კონტურები უკვე გამოიკვეთა, ყოვლისშემძლეა. იგი ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენს.

რადგან კითხვა ჭორებსა და მითქმა-მოთქმას შეეხება, მინდა პასუხი უფრო გლობალურ ჭრილში დავაყენო. ჩემს წინააღმდეგ „ლაშქრობა“ მას შემდეგ დაიწყო, რაც საქართველოს პრეზიდენტმა ერთ-ერთი უცხოელი ჟურნალისტისათვის მიცემულ ინტერვიუში პერსპექტიულ პიროვნებებად ზურაბ ჟვანია და ნიკო ლეკიშვილი დაასახელა. ეტყობა, ვიღაცას ეს ძალიან არ მოეწონა და ცილისწამებათა მანქანაც ამუშავდა.

შემკვეთები სერიოზული და ჭკვიანი ხალხია. შეკრებითაც სისტემატურად იკრიბებიან და აჯამებენ, რა შედეგები გამოიღო მათ მიერ დაგეგმილმა ცილისწამების კამპანიამ. საქმე უფრო სერიოზულადაა, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს და იგი მხოლოდ ნიკო ლეკიშვილის პიროვნებას არ უკავშირდება. ჯერ ნავთობზე მოინდომეს აქცენტის გაკეთება და როცა მიხვდნენ, რომ მე ნავთობთან არაფერი მესაქმებოდა, მითქმა-მოთქმა შეწყდა. შემდეგ ჯიხურების თემა „შემოაგდეს“, მერე კი მიზანდასახულად დაყარეს ხმები ჩემსა და ზურაბ ჟვანიას, ჩემსა და პარლამენტის უმრავლესობას შორის თითქოს არსებული ფარული დაპირისპირების შესახებ.

აღნიშნული გეგმის ნაწილია ჭორების გავრცელების მეთოდით დაძაბული ატმოსფეროს შექმნა და პრეზიდენტსა და პარლამენტის უმრავლესობას შორის დაპირისპირების პროვოცირება.

მინდა მკითხველებს შევახსენო, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის გარკვეულ სტრუქტურებში ჭორებისა და ანეკდოტების გავრცელების სპეციალური სამსახური არსებობდა. საქართველოში არასტაბილურობის მიღწევასა და ხელისუფლების წამყვანი პირების ერთმანეთის გადაკიდებაზე მომუშავე ზემოაღნიშნული ჯგუფის რამდენიმე ლიდერს ამ სფეროში მუშაობის დიდი „გამოცდილება“ აქვს.

შემიძლია წინასწარ გითხრათ, თუ რა გეგმები აქვთ მათ ჩემი პიროვნების წინააღმდეგ. ახლა ბამბის საქმეში უნდათ გამრიონ, მერე პრივატიზების ობიექტების თემას წამოწევენ და ასე შემდეგ.

ასე რომ, მათი მხრიდან სერიოზული მუშაობა მიდის ჭორების გავრცელების გზით ხელისუფლების შტოებს შორის დაპირისპირების გასაღვივებლად და საერთოდ, ხელისუფლების კომპრომეტირებისათვის.

საბედნიეროდ, მათ შორის აღმოჩნდნენ ისეთებიც, რომელთაც ამ ბინძურ თამაშში მონაწილეობის მიღება არ ისურვეს. სხვები კი მინდა დავამშვიდო, რომ პრეზიდენტს ვუდგავარ მხარში და მის გვერდით მანამ ვიქნები, სანამ ეს საქმისთვის არის საჭირო. შემდეგ კი, როგორც უკვე აღვნიშნე, სახელმწიფო სამსახურში ყოფნას არ ვაპირებ.

— რას პირდება სახელმწიფო მინისტრი ქართველ მეწარმეებს?

— მაქსიმალურ ხელშეწყობას. ყინული დაიძრა, წარმოებაში მცირე, მაგრამ მაინც გამოცოცხლება შეინიშნება. წელს, პირველ კვარტალში წარმოების ზრდამ 105 პროცენტი შეადგინა. ცოტაა, მაგრამ მთავარია ის, რომ ტენდენცია უკეთესობისკენაა და როგორც იქნა, დასრულდა ეკონომიკური ვარდნის პერიოდი.

კიდევ გავიმეორებ, რომ ეკონომიკურ გამოცოცხლებაში დღეს ყველაზე არსებითი საგადასახადო პოლიტიკის სრულყოფაა. როგორც სახელმწიფო მინისტრი, ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რათა ამ პოლიტიკამ ბიზნესის აღორძინებას შეუწყოს ხელი.

ყველას გვსურს საქართველო დღესვე ვიხილოთ აყვავებული და მდიდარი, მაგრამ ასე არ ხდება. არ უნდა დავივიწყოთ გუშინდელი დღე, ის, თუ რა ჯოჯოხეთი გამოვიარეთ. არც ერთ ქვეყანას უცებ არ მოუწესრიგებია სიტუაცია ომისა და უბედურებების შემდეგ. ჩვენ აღნიშნული პერიოდი შედარებით მალე მოვილიეთ. არ შეიძლება ერთ დღეს გაიღვიძო და საქართველო შვეიცარიად გარდაქმნილი დაგხვდეს. ამას წლები და თავდაუზოგავი შრომა სჭირდება. დანარჩენი კი აუცილებლად იქნება.

ესაუბრა
მანანა მაზიაშვილი.

გ. „დილის გაზეთი“, № 63.
27 აპრილი, 1996 წელი.

რეფორმა

საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ 1996 წლის 26 თებერვალს „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ კანონის პროექტის განხილვისადმი მიძღვნილ თათბირზე თქვა:

„სხვათა შორის, ქალაქში ბევრი რამ გაკეთდა, ბევრმა აიღო მიწის ნაკვეთი... ქალაქის მოსახლეობას უნდა მივცეთ საშუალება ათასობით და ათიათასობით ჰექტარ თავისუფალ მიწაზე საგარაკო თუ საბოსტნე ნაკვეთების მიღებისა, რომლებიც შემდგომში მოქალაქეს დაუკანონდება, როგორც მისი კერძო საკუთრება... სათანადო სტრუქტურებმა დღეიდანვე უნდა იზრუნონ იმაზე, რომ საქართველოს ნებისმიერმა მოქალაქემ, ვინც დღემდე ვერ მიიღო მიწის ნაკვეთი, უსათუოდ მიიღოს იგი. ნუ დაგვავიწყდება, რომ ეს კანონი არა მხოლოდ მიწის ყიდვა-გაყიდვას აწესებს, არამედ მიწის მესაკუთრეთა ფენას ქმნის და ეკონომიკური კრიზისის დაძლევის საშუალებაა“.

საგარაკო თუ საბოსტნე მიწის ნაკვეთის მიღებისა და მის კერძო საკუთრებად დაკანონების პროცესი დაკავშირებულია ბევრ ნიუანსთან, რომელთა ცოდნა და შემდგომში მათი გათვალისწინება უთუოდ წაადგება ჩვენს მოქალაქეებს. რომლებიც უნდა ჩამოყალიბდნენ მიწის მფლობელთა, მეწარმეთა ფენად, მით უფრო, რომ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების კანონი მიღებულია და უკვე მოქმედებს.

ჩვენი კორესპონდენტი შეხვდა საქართველოს მიწის რესურსებისა და მიწის კადასტრის დეპარტამენტის საკარმიდამო და საბაღე-საგარაკო ნაკვეთების მომსახურების რესპუბლიკური ცენტრის „საქქალაქაგროსერვისის“ მმართველის მოადგილეს, ფირმა „საქაგროპროექტის“ დირექტორს ელგუჯა ჩიქოვანს და რამდენიმე კითხვით მიმართა:



მიწას კანონიერად რომ ფლობდე...

— ბატონო ელგუჯა, მოგეხსენებათ, რომ საქართველოს პარლამენტმა 1996 წლის 22 მარტს მიიღო კანონი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ, რომელსაც წინ უძღოდა საკმაოდ მწვავე და ხანგრძლივი კამათი როგორც პრესასა და ტელევიზიაში, ასევე თვით პარლამენტში.

თქვენ წლების განმავლობაში ხელმძღვანელობთ დაწესებულებას, რომლის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს თბილისისა და რესპუბლიკის სხვა ქალაქების მცხოვრებთათვის საბაღედ და საკარმიდამოდ გამოყოფილი მიწის ნაკვეთების დაგეგმარება. გარდა ამისა, ურთიერთობა გიხდებათ მიწათმოქმედთა არცთუ უმნიშვნელო ნაწილთან. ბუნებრივია, იცით და უსათუოდ გაცნობიერებულიც გექნებათ მათი პრობლემები...

— ჩვენი სამსახური (უწინ მას „საქაგროკომპროექტი“ ეწოდებოდა) მთავრობის დადგენილების შესაბამისად დაარსდა 1980 წლის მაისში მებაღეობის შემდგომი განვითარების მიზნით. მას დაევალა საბაღე ტერიტორიების დაგეგმარება-განაშენიანების, საავტომობილო გზების, სარწყავი და სასმელი წყალსადენების, ელექტრომომარაგების, საბაღე სახლებისა და სამეურნეო შენობა-ნაგებობების პროექტების შედგენა, ანუ ყოველივე ის, რაც აუცილებელი საწყისია მიწის ფართობების რაციონალურად ათვისებისა და ადამიანებისათვის შრომისა და დასვენების ნორმალური პირობების შექმნისათვის.

ამ ხნის განმავლობაში ჩვენს მიერ დამუშავებული პროექტებით დაგეგმარდა და მებაღეობის ამხანაგობების წევრებს ადგილზე მოზომილ ნაკვეთებად დაურიგდათ დაახლოებით 5 ათასი ჰექტარი მიწა, აიგო და მშენებლობის სტადიაშია 3000-ზე მეტი კაპიტალური საბაღე სახლი, მოეწყო საინჟინრო კომუნიკაციები, ჩატარდა ცალკეული ნაკვეთების ტექნიკური ინვენტარიზაცია.

გარდა ამისა, ზვავებითა და მიწისძვრებით დაზარალებული მოსახლეობისათვის დავაგეგმარეთ და აშენდა კიდეც — ახალი სოფლები გოლთეთი და ჭივჭავი თეთრიწყაროს რაიონში, ერისმედი სიღნაღის რაიონში, წერაქვი და სიონი მარნეულის რაიონში, დაიანეთი ახალგორის რაიონში, დავამუშავეთ საცხოვრებელი სახლების რეკონსტრუქციისა და აღმშენებლობის პროექტები ქარელისა და კასპის რაიონის რამდენიმე სოფლისათვის. ასე რომ, 15-წლიანი მიწის ნაკვეთების მფლობელებთან საქმიანი ურთიერთობის საფუძველზე შემიძლია განვაცხადო, რომ მათი უმრავლესობის ნატვრა იყო მიწაზე კერძო საკუთრების დაწესება. ამ სურვილს მეც მთლიანად ვიზიარებ.

— როგორია თქვენი შეხედულება ზოგადად კანონისა და მისი ცალკეული მუხლების შესახებ? რა დებულებას ეთანხმებით და რას არა, რა მიგაჩნიათ კანონის უდავო ღირსებად ან ნაკლად?

— რამდენადაც კანონი უკვე მიღებულია, დღეს, ალბათ, არ ღირს მის ნაკლოვანებებზე საუბარი, მით უფრო, რომ აღნიშნული კანონი უთუოდ განმტკიცდება ნორმატიული აქტებით, სადაც ძირფესვიანად იქნება განმარტებული საკითხთა უმრავლესობა და კანონის სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის შესაძლებლობა, ისე კი აუცილებლად მიმაჩნია ზოგიერთი საკითხის მხოლოდ ჩემეული განმარტება:

როგორც ხედავთ, კანონის სათაურშივეა განსაზღვრული, რომ იგი ეხება მხოლოდ და მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებს. მათი სხვა დანიშნულებით გამოყენებისათვის საჭიროა მიწის შესაბამისი სახელმწიფო სამსახურის სპეციალური ნებართვა.

მართალია, მიწაზე კერძო საკუთრება იდეალური გაგებით მოიცავს მასზე ყოველნაირ უფლებას, მაგრამ ამ ეტაპზე სახელმწიფო იძულებულია, კონტროლი გაუწიოს მიწების მიზნობრივად — სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენების საკითხს, რათა მისგან მივიღოთ მაქსიმალურად უხვი მოსავალი.

უბრალო ენით რომ ვთქვათ, კანონი გვეუბნება: მოგცემ მიწის ნაკვეთს უსასყიდლოდ ერთი პირობით — გამოიყენე იგი დანიშნულებისამებრ და გინდ გაყიდე, გააჩუქე, ან გაეცი იჯარით. წინააღმდეგ შემთხვევაში, კანონის მიხედვით თქვენს მიმართ ორი წლის გავლის შემდეგ გამოყენებული იქნება საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული სანქციები.

კანონში შემოღებულია სოფლის მეურნეობის სტატუსი, რომელსაც ანიჭებს საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო. ამ სტატუსის მქონე პირები სარგებლობენ უფლებით ურთიერთგარიგება აწარმოონ სპეციალური გასხვისების ნებართვის გარეშე მაშინ, როდესაც ამ სტატუსის არმქონე პირებზე ეს შეღავათი არ ვრცელდება.

ვფიქრობ, დღეს მთავარია ჩვენ, ყველა იმ ორგანიზაციებთან ერთად, რომელთაც ეხება ამ კანონის ცხოვრებაში გატარება, დროულად ჩავებათ ამ საშვილიშვილო საქმეში.

— რა არის საჭირო იმისათვის, რომ მებაღეობა-მებოსტნეობის ამხანაგობის წევრებს მიწის ნაკვეთი საკუთრებაში გადაეცეს? ვის უნდა მიმართონ საბუთების გასაფორმებლად? როგორ წარიმართება მიწის პრივატიზაციის რთული პროცესი?

— დებულება საქართველოს რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში (დაბებში) მცხოვრებთათვის მიწის ნაკვეთების გამოყოფის წესის შესახებ, რომელიც თქვენს გაზეთში 1993 წლის 26 თებერვალს გამოქვეყნდა, ითვალისწინებს:

„მოქმედი მებაღეობის ამხანაგობანი ნაკვეთების საკუთრებაში გადაცემის შესახებ შესაბამის დოკუმენტაციას ცალკეულ მოქალაქეებს გადასცემენ ამ ნაკვეთების ინვენტარიზაციის ჩატარების შემდეგ“ (პუნქტი 14).

ამრიგად, პრივატიზაციის პროცესს აუცილებლად უნდა უსწრებდეს საინვენტარიზაციო სამუშაოების ჩატარება, რათა საბოლოოდ დაზუსტდეს საკუთრებაში გადასაცემი მიწის ნაკვეთების საზღვრები და ფართობები, რომლებიც მეტწილ შემთხვევაში საგრძნობლად განსხვავდება პროექტისაგან, აგრეთვე შენობა-ნაგებობებისა და საინჟინრო კომუნიკაციების განლაგება. ინვენტარიზაციის შედეგად ცხადი გახდება, რა მოიმოქმედეს მებაღეობის ამხანაგობის წევრებმა მიწის ნაკვეთების ათვისებისათვის, გაირკვევა ამ მხრივ ვის რა უნარი და შესაძლებლობები შესწევს, რაც საწინდარი იქნება იმისა, რომ მიწის ზღვრულ ნორმამდე (ქალაქებისათვის იგი 1500 კვ. მეტრამდეა) გაფართოების (გამოთავისუფლებული ნაკვეთების ხარჯზე) მსურველთაგან გამოირჩეს ჭეშმარიტად გამრჯე, მუყაითი ადამიანები.

ინვენტარიზაციის შედეგები გრაფიკულად გამოისახება მსხვილმასშტაბიან გეგმაზე, რომელიც შეთანხმდება და დამტკიცდება მიწის განმკარგავი რაიონების გამგეობების მიერ, ხოლო თითოეულ მოქალაქეს გადაეცემა სათანადოდ გაფორმებული მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტი.

ინვენტარიზაციის ჩასატარებლად მებაღეობის ამხანაგობებმა უნდა მიმართონ „საქქალაქაგროსერვისს“ (კ. მარჯანიშვილის ქ. № 44, ტელ. 96-72-87) და ფირმა „საქაგროპროექტს“ (რ. თაბუკაშვილის ქ. № 27, ტელ. 93-66-21).

— მიწების ინვენტარიზაცია და სათანადო დოკუმენტაციის შედგენა დაკავშირებული იქნება გარკვეულ ხარჯებთან. არსებობს თუ არა დაწესებული ნიხრი შესრულებული სამუშაოების ანაზღაურებლად თუ ფასები თავისუფალია და ვისიმე ნებასურვილზეა დამოკიდებული?

— ნიხრი, რასაკვირველია, არსებობს. ამიტომ თავისუფალ ფასებსა და რაიმე გარიგებაზე ლაპარაკი, უბრალოდ, ზედმეტად მიმაჩნია. პირიქით, გავითვალისწინეთ რა საზოგადოების უმეტესი ნაწილის მძიმე ყოფა და სიდუხჭირე, საინვენტარიზაციო სამუშაოებს შეღავათიანი ფასები მივუსადაგეთ რა მებაღეობის ამხანაგობის წევრებს კალკულაციასთან შედარებით საგრძნობლად ნაკლებ თანხას ვახდევინებთ.

თუმცა ეს გამოსავალი როდია — ეკონომიკურად შეჭირვებულ ადამიანებს მცირედი თანხის გაღებაც უძნელდებათ, რის გამოც მიწის რეფორმის განხორციელების ტემპი აშკარად შენელებულია. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ საბაღე ნაკვეთების საერთო რაოდენობა 60 ათასს აღემატება, ხოლო უკანასკნელი 3-4 წლის განმავლობაში ინვენტარიზაცია ჩავატარეთ მხოლოდ 2000 მათგანზე. აქედან კი საზღაური გადაიხადა მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილმა, ჩემი ნათქვამი ლიტონ სიტყვებად აღარ ჩაითვლება.

როგორც ვიცით, მებაღეობის ამხანაგობები ეწყობოდა საწარმოებთან, ორგანიზაციებთან. დღეს, როდესაც მათი უმრავლესობა ან გაუქმებულია ან გაჩერებულია, ძნელდება ნაკვეთების მფლობელთა კონტინგენტის შეკრება და მათთან ფინანსური საკითხების მოგვარება, რის გამოც ნაკვეთების ინვენტარიზაციის ჩატარება გართულებულია.

საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრმა ბაკურ გულუამ მ/წ 19 მარტს ფრაქცია მაჟორიტარებთან შეხვედრისას განაცხადა, რომ თითოეული სოფლად მაცხოვრებელი კომლი ბანკიდან სესხის სახით მიიღებს 1000-1500 ლარს (გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 21, 22 მარტის ნომრები). თუ ხელისუფლება გამონახავს ანალოგიურ საშუალებას (ცხადია, საგრძნობლად მცირე თანხების გათვალისწინებით) და საბაღე ნაკვეთების პრივატიზაციისა და ათვისების საქმეს ასევე გულისხმიერებით მოეკიდება, შესაძლებელი გახდება არა მარტო ამ პროცესის დაჩქარება, არამედ მიწებიც ჯეროვნად დამუშავდება და, რასაკვირველია, მოსავალსაც კარგს მოვიწევთ. თუ ინვენტარიზაციის ჩატარებისათვის საჭირო ღირებულების ნაწილი ბანკის სესხით დაიფარება, მას შემდგომში გადაიხდიდა ის მოქალაქე, რომელსაც მიეცემა ნაკვეთი.

— მიწის საკუთრების კანონის ამოქმედებისთანავე, ალბათ, მრავალი მოქალაქე მოისურვებს სათანადო დოკუმენტაციის მიღებას. თუ ხართ მზად სამუშაოების შესასრულებლად?.. საიდუმლო არ არის, რომ დაუსაქმებელი სპეციალისტები დაწესებულებიდან მასობრივად გაიკრიფნენ და მათი დაბრუნება არ უნდა იყოს მთლად იოლი.

— მართალს ბრძანებთ, გამოცდილი სპეციალისტების მნიშვნელოვანმა ნაწილმა სამსახურს თავი დაანება და ახალი დროებისათვის დამახასიათებელ საქმიანობაში ჩაება, მაგრამ შესაფერისი სამუშაოებით უზრუნველყოფის შემთხვევაში მათი დაბრუნება ჯერ კიდევ შეიძლება.

პრობლემა სხვა გახლავთ. თანაც სასწრაფოდ და კვალიფიციურად მოსაგვარებელი. მიწის რეფორმა სოფლად რამდენიმე წელიწადია ხორციელდება, მაგრამ. სამწუხაროდ, არასწორად. ამის შესახებ ბევრი დაიწერა პრესაში. არც მთავრობის დადგენილებების უკმარობაა, მიწების გადანაწილება კი კვლავინდებურად დიდი დარღვევებით მიმდინარეობს, სამუშაოთა უმეტესობას სოფლებში და ადმინისტრაციულ ცენტრებში არაპროფესიონალები ასრულებენ მიწის ფართობების ინსტრუმენტალური აგეგმვისა და სათანადო დოკუმენტაციის შედგენის გარეშე, რაც იწვევს გაუგებრობებსა და კონფლიქტურ სიტუაციებს.

ყოველივე ამის გამო დღის წესრიგში დგება საკუთრებაში გაცემული მიწის ნაკვეთების საზღვრებისა და ფართობების, მესაკუთრეთა სიებისა და რეგისტრირებული საბუთების გადამოწმების საკითხი, ანუ ხელახლა შესასრულებელია უაღრესად ტევადი და საპასუხისმგებლო სამუშაო.

დასკვნა ერთია — პური ხაბაზმა უნდა გამოაცხოს!

— გეთანხმებით. თუ ქართულ პურზეა ლაპარაკი, უმჯობესია ხაბაზი რაჭველი კაცი იყოს...

დასასრულ, როგორ გესახებათ ჩვენთვის სრულიად ახალი ფენის — მიწის კერძო მესაკუთრეთა მომავალი?

— ალბათ, შორს არ არის ის დრო, როცა დარბაისელი, საშუალო ხელფასის მქონე მოქალაქე სათაყვანებელი შვილიშვილისათვის საქორწინო საჩუქრის მისართმევად საგანგებოდ შეივლის მიწების მართვის სათანადო სამსახურში, რომლის თანამშრომლები გულღიად მიიღებენ ძვირფას კლიენტს, გაეცნობიან მის სურვილებს და თვალის დახამხამებაში გადასცემენ კომპიუტერიდან ამონაბეჭდ ფერად ფურცელს. სადაც მითითებული იქნება საჩუქრებელი მიწის ნაკვეთის მდებარეობა (რასაკვირველია, კოჯრის მიდამოებში აჯობებს), ფართობი, ხეხილის ჯიშები და მოსავლიანობა. საცხოვრებელი სახლის სურათები, ცნობები მამულის კეთილმოწყობის შესახებ და ა. შ.

ესაუბრა
ანზორ ბასილაია.

სახელმწიფო პროგრამების განხორციელებას ყოველნაირად უნდა დავუჭიროთ მხარი ადგილებზე

(დასასრული)

სხდომაზე ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის მიერ შემუშავებული 2000 წლამდე პერიოდის პროგრამის განხილვა. ეს პროგრამა პრაქტიკულად მოიცავს ყველა საკითხს; როგორც ახალგაზრდების უფლებათა დაცვის საკანონმდებლო ბაზის შექმნასა და მათი ფიზიკური და ზნეობრივი განვითარების პირობების უზრუნველყოფას, ასევე არასრულწლოვანთა შორის დამნაშავეობის პროფილაქტიკასა და განსაკუთრებით ნიჭიერთათვის დახმარების გაწევას. საქართველოს პრეზიდენტის შეფასებით, შექმნილია სერიოზული დოკუმენტი და თუ მას რამდენადმე დახვეწა სჭირდება, რასაც ყურადღება მიაქცია ზოგიერთმა აქ გამოსულმა, ეს განსაკუთრებულ სიძნელეს არ წარმოადგენს. მთავარია, რომ შეიქმნა პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს ჩვენი საზოგადოების მოზარდი თაობის ინტერესებს. ამ დოკუმენტის საფუძველზე უნდა შემუშავდეს აგრეთვე შესაბამისი სამხარეო, საქალაქო, რაიონული პროგრამები, რომლებიც ადგილობრივი საშუალებებით განხორციელდება. ხაზგასმით აღინიშნა, რომ ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში თავისი ადგილი უნდა განსაზღვროს აგრეთვე რესპუბლიკის თითოეულმა სამინისტრომ და უწყებამ.

მთავრობამ მოიწონა საქართველოს განათლების სამინისტროს წინადადება სასკოლო რეფორმის ეტაპობრივი განხორციელების შესახებ. იგი ითვალისწინებს, რომ უკვე 1998-1999 სასწავლო წლიდან საშუალო განათლების სისტემა გადაყვანილი იქნება 12-წლიან სწავლებაზე და შესაბამისად ახალი შინაარსის სწავლებაზე გადავლენ ელემენტარული სკოლის მეხუთე-მეშვიდე კლასები, ძირითადი სკოლისა და პროგიმნაზიების მეშვიდე კლასები, ხოლო 2001 წლიდან — გიმნაზიისა და ლიცეუმის მეათე კლასები. აღინიშნა, რომ ამ რთული და საკმაოდ მტკივნეული რეფორმის განხორციელებისათვის მაქსიმალური აქტიურობა უნდა გამოიჩინონ ხელისუფლების რეგიონულმა და ადგილობრივმა ორგანოებმა, რომლებმაც განათლების სამინისტროსთან ერთად უნდა შეიმუშაონ რეფორმის განხორციელების ადგილობრივი პროგრამები. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს იმას, რომ ქართულ სკოლებთან ერთად ყურადღების ცენტრში იყოს სკოლები, სადაც სწავლება სხვა ენებზე მიმდინარეობს, რომლებიც აგრეთვე უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ შესაბამისი სახელმძღვანელოებითა და დამხმარე სახელმძღვანელოებით. რეფორმის ფინანსურ უზრუნველყოფასთან დაკავშირებით ხაზგასმით აღინიშნა, რომ აქ, ჯანმრთელობის დაცვის სისტემის მაგალითისამებრ, უნდა დამყარდეს თანამშრომლობა ევროკავშირთან და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან. აქაც საჭიროა აქტიურობა გამოიჩინოს არა მარტო განათლების სამინისტრომ, არამედ აგრეთვე ფინანსთა სამინისტრომ, ეროვნულმა ბანკმა, სხვა სამინისტროებმა და უწყებებმა, რომლებსაც უშუალო კონტაქტები აქვთ ამ ორგანიზაციებთან. განსაკუთრებით აღინიშნა, რომ აუცილებელია ზრუნვა პედაგოგთა შრომის სათანადო ანაზღაურებაზე, მათთვის ცხოვრებისა და მუშაობის ნორმალური პირობების შექმნაზე. სხვაგვარად რეფორმა შეიძლება მხოლოდ კეთილ სურვილად დარჩეს.

სხდომაზე დამტკიცდა რესპუბლიკის ვაჭრობისა და საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობის სამინისტროს დებულება და სტრუქტურა, განსაზღვრეს იმ გადაუდებელი საკითხების წრე, რომლებსაც მთავრობის მომდევნო სხდომა განიხილავს.

ედუარდ ედიბერიძე,
საქინფორმის კორ.

რატომ 79 წელი და არა 23 საუკუნე?!

26 მაისი არის ჩვენი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის დიდი თარიღი და, ბუნებრივია, რომ მას ზეიმით აღვნიშნავთ, მაგრამ ერთგვარად მოულოდნელია, რომ სრულიად დავივიწყეთ და უგულებელვყავით საქართველოს სახელმწიფოებრიობის შექმნის დიდზე დიდი თარიღი, რომელსაც ამ საუკუნის მიწურულს 23 საუკუნე უსრულდება.

დღეს, როდესაც ჩვენი ხალხი ეროვნული დამოუკიდებლობისა და ეროვნული სახელმწიფოებრიობის შექმნის დიდ სიხარულსა და ასევე დიდ სირთულეებს განიცდის, სწორედ ახლაა ხაზგასმით აღსანიშნავი ქართული ეროვნული სახელმწიფოს შექმნისა და დამკვიდრების ისტორიული მოვლენის გაცნობიერება.

მოგეხსენებათ, რომ ოცდასამი საუკუნის წინათ ფარნავაზ მეფემ შექმნა ქართული ეროვნული სახელმწიფო და მადლიერმა შთამომავლობამ გრიგოლ ორბელიანის სიტყვით მიმართა:

„შენ, ჰე, ფარნავაზ ჰქმენ
ერთ-მეფობა,
შენ დაუმკვიდრე ერსა ერთობა
და ერთობისა წესი და ძალი!

ფარნავაზის ნამოღვაწარი ისეთი დიდი ეროვნული ალორძინება იყო, რომ ქართული ეკლესიის მწყემსმთავარმა ანტონ კათალიკოსმაც კი საჭიროდ მიიჩნია წარმართი მეფის სიდიადის წარმოჩინება: ჰხამს მაშინ ქება ფარნავაზმეფე დიდი, ვინ მეფობითნი სჯულნი დაჰსდუნა საქებელ". ამიტომაც, საჭიროდ მიგვაჩნია, სწორედ ახლა იქნეს აღნიშნული ფარნავაზის ღვაწლი, ქართული ეროვნული სახელმწიფოს შექმნის დიდი თარიღი. ეს საჭიროა არა მარტო იმიტომ, რომ დამსახურებული პატივი მივაგოთ ჩვენს დიდ ღირსეულ წინაპარს. ეს, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა დღევანდელობისათვის, დღევანდელი მოქალაქის თვითშეგნების გაძლიერებისა და გაცნობიერებისათვის, საჭიროა ახალგაზრდობისათვის, რომელთაც უნდა გაიცნობიერონ, თუ ვისი „გორისანი" არიან და თუ რაოდენ დიდი ტრადიცია მოგვდგამს ეროვნული სახელმწიფოებრიობის არსებობისა.

სწორედ ახლაა საჭირო ამაზე ფიქრი იმიტომაც, რომ ძნელბედობის ჟამს ყველამ გავიცნობიეროთ ჩვენი სამართლებრივ-სახელმწიფოებრივი უფლებები და სხვათაც გავაგებინოთ ეს. ღიას, ძნელბედობის ჟამს წამოგვეშველებიან ხოლმე ჩვენი დიდი აჩრდილები და თავიანთი ნამოღვაწარით უცხოთა შესამეცნებლად ამბობენ დიდ სიტყვას. ამის კლასიკური ნიმუშია რუსთაველი, რომლის იუბილე აღვნიშნეთ სწორედ მაშინ, როდესაც ხრუშჩოვისაგან გვემული და შევიწროებული ერთგვარად გარიყული ვიყავით საერთაშორისო ასპარეზიდან. მაგრამ ჩვენი ერის თავკაცებმა, მეცნიერებმა, მწერლებმა და მთელმა ერმა საერთაშორისო დონის იუბილე გადაუხადეს შოთა რუსთაველს და მოხდა ჩვენი რეაბილიტაცია საკავშირო მასშტაბით, რამაც დიდი რეზონანსი ჰპოვა მსოფლიოშიც.

ახლაც, დღევანდელი სირთულეებიდან თავის დაღწევაში უდიდეს როლს შეასრულებს იმის დადასტურება და ფართოდ აღნიშვნა, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ოცდასამი საუკუნის წინ დავამკვიდრეთ დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოებრიობა.

გვერწმუნეთ, რომ ამ ფაქტის აღნიშვნა და ზეიმი იქნება დიდი ეროვნული, სახელმწიფოებრივი და ზნეობრივი სიხარულისა და სიმტკიცის დამამკვიდრებელი მოვლენა.

რასაკვირველია, ამ დიდზე დიდი ღონისძიების ჩატარება დღეს და ხვალ შეუძლებელი და ნაჩქარევიც იქნება, მაგრამ აუცილებელია, რომ სწორედ დღეს და ხვალ იქნეს სათანადო დადგენილება გამოტანილი (რასაკვირველია, კომისიის შექმნაც), რათა ერთი ან ორი წლის შემდეგ ფართოდ აღვნიშნოთ ეს თარიღი და კიდევ ერთი სარწმუნო განაცხადი შევიტანოთ ცივილიზებული სამყაროს წინაშე ჩვენი ეროვნული დამოუკიდებლობის შესახებ. ნიშნად ამისა კი ჩვენს ძველ დედაქალაქში, ფარნავაზის ქალაქში — მცხეთაში უნდა აღიმართოს ფარნავაზის ძეგლი.

დღეს, როდესაც ეროვნულ-სახელმწიფოებრივი აღორძინებისა და დამკვიდრების ძალისხმევაში ვიმყოფებით, სწორედ ახლაა სასიცოცხლოდ აუცილებელი ქართული ეროვნული სახელმწიფოებრიობის მესიტყვის, ფარნავაზის ნამოღვაწარის გაცნობიერება და პოპულიზაცია, რის შედეგადაც გამოიკვეთება ჩვენი თვითმყოფადობის ოცდასამსაუკუნოვანი მთლიანი ხაზი.

რევაზ გარამიძე.

წერილები რედაქციას

აქ უნდა აიგოს...

უკვე 7 წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც ყოფილი მთავრობის სასახლის წინამდებარე ტერიტორიაზე დატრიალდა ცნობილი ტრაგედია. თითქმის ამდენივე დროა იქვე ძევს ქვის ლოდი, რომელიც გვაუწყებს, რომ აქ აღიმართება მემორიალური ძეგლი.

გასახსენებელია ისიც, რომ ხუთიოდე წლის წინათ გამოცხადდა კონკურსი „9 აპრილის ტრაგედიის" აღმნიშვნელი მემორიალის ესკიზების შესარჩევად, რამაც ძალზე უფერულად და უშედეგოდ ჩაიარა.

იქნებ კონკურსის უხეირო ორგანიზაცია იმ წლების ამღვრეული ვითარებითაც იყო განპირობებული?!

ასე თუ ისე, 9 აპრილის ტრაგედია ჩვენი ბოლოდროინდელი ისტორიის ისეთი მნიშვნელოვანი ფურცელია, რომ არდავიწყება თაობებს გადაეცემა და დანაპირები მემორიალიც უთუოდ აიგება.

სწორედ ამის განსასჯელად გთავაზობთ შემდეგ მოსაზრებებს:

ყოფილი მთავრობის სასახლის წინ, ვფიქრობ, უნდა აიგოს მომხდარი ტრაგედიის ადგილის აღმნიშვნელი მხატვრულ-არქიტექტურული ფორმა და მისი გამომსახველი საშუალებების შერჩევისას ანგარიშგასაწევი იქნება კონკრეტული ქალაქგეგმარებითი სიტუაცია.

მთავრობის სასახლის (ამჟერად პარლამენტის შენობის) კომპლექსი წარმოადგენს ქართული არქიტექტურის ეტაპობრივ ნაწარმოებს, რომელიც სრულყოფილად პასუხობს თავის დანიშნულებას (როგორც ადმინისტრაციული ხასიათის შენობისას), ოსტატურად არის გადაწყვეტილი სივრცით-მოცულობითი კომპოზიცია, ორგანულად ერწყმის ადგილმდებარეობას და ყოველი მისი დეტალი გარე კეთილმოწყობისა და გამწვანების ელემენტების ჩართვით აყალიბებს გარემოს მხატვრულ-არქიტექტურულ სახეს.

ამდენად, შენობის მთავარი ფასადის წინ რაიმე აქტიური ელემენტის გაჩენა შესაძლოა ზედმეტობად მოგვეჩვენოს და დაარღვიოს ის ესთეტიური ჰარმონია, რაც შესაშური მხატვრული ტაქტით არის ჩამოყალიბებული ჩვენი დროის თვალსაჩინო ხუროთმოძღვრების, ბატონების გიორგი ლეჟავასა და ვიქტორ კოკორინის ავტორობით.

თუ კადნიერებაში არ ჩამეთვლება, ვფიქრობ, შენობის შესასვლელთან დადგმული ქანდაკებების მოხსნის შემდეგ, ფასადის არქიტექტურა უფრო „დამშვიდდა", უფრო გასაგები გახდა აღქმისათვის თაღედის ანუ ძირითადი არქიტექტურული თემის მასშტაბურობა, რაც რამდენადმე ირღვეოდა კვარცხლბეკზე მორგებული ქანდაკების ჯგუფებით.

ამდენად, მეგონია, რომ 9 აპრილის ტრაგედია, როგორც [illegible] საქართველოსათვის ბრძოლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა, იმსახურებს უკვდავყოფას და არა მარტო დედაქალაქში, არამედ ქვეყნის სხვა ქალაქებსა და სოფლებშიც უნდა აიგოს შესაფერისი მემორიალური ძეგლები.

ყველა ასეთ შემთხვევაში მემორიალი უნდა გადაიქცეს მოედნის, ქუჩისა თუ სხვა არქიტექტურული გარემოს მნიშვნელოვან აზრობრივ მხატვრულ ელემენტად შესაფერისი გამომსახველობითი საშუალებების გამოყენებით.

რუსთაველის პროსპექტზე ადგილის აღმნიშვნელი ელემენტისადმი ჩვეულებრივი დამოკიდებულებისაგან განსხვავებით, 9 აპრილის ტრაგედიის, როგორც მოვლენის მემორიალური ძეგლის თუ ანსამბლის შემქმნელი თავისუფალია მხატვრული ხერხების შერჩევაში და მისი შემოქმედებითი ფანტაზია შეუზღუდავია.

ეჭვს გარეშეა, ქართველ არქიტექტორთა და მხატვართა პოტენციური შესაძლებლობები გამოვლინდება ამ დიდმნიშვნელოვანი თემის საპასუხო მაღალმხატვრულ ქმნილებებში.

თამაზ თევზაძე,
არქიტექტორი.

რუსეთი: არჩევნებამდე 45 დღე დარჩა

ვინ არის „დამნაშავე"?

რუსეთის პრეზიდენტობის კანდიდატი, საბჭოთა კავშირის პირველი და უკანასკნელი პრეზიდენტი მიხეილ გორბაჩოვი, რომლის რეიტინგი საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგებით (რასაც გორბაჩოვი უმართებულოდ მიიჩნევს) ერთ პროცენტს შეადგენს, ბრალს სდებს პრეზიდენტ ბორის ელცინს საბჭოთა კავშირის დანგრევაში. და ეს მაშინ, როცა 1991 წლის 17 მარტის რეფერენდუმზე მოსახლეობის 70 პროცენტზე მეტმა მხარი დაუჭირა საბჭოთა კავშირის შენარჩუნებას, ელცინმა გამოსტაცა მას საბჭოეთის ტრანსფორმაციის ბერკეტები.

პრეზიდენტი ბორის ელცინი აცხადებს, რომ საბჭოეთის ნგრევა მიხეილ გორბაჩოვმა დაიწყო.

დღეს ორივე მათგანი რუსეთის პრეზიდენტობის კანდიდატია, თავიანთი გზებით მიდიან და ისტორიას ჩაბარდა პერიოდი, როცა ერთმანეთს დროს უთანხმებდნენ.

განსჯა

ნაკადული არ უნდა დაშრეს

რ სჭირდება ახსნა-განმარტება იმას, რომ თუ რომელ ნაკადულზეა აქ ლაპარაკი. სიტყვა ეხება არა იმ ნაკადულს მინდორში, მწვანე მდელოზე ნელი დუდუნით რომ მიიკვლევს გზას, იმას ადვილად ვერ დააშრობ, კარგად იცის თავისი კალაპოტი, თავისი გზა-კვალი. აქ კი ლაპარაკი გვექნება ქართული მწერლობის უმნიშვნელოვანეს უბანზე — საბავშვო ლიტერატურაზე.

ამ ოციოდე წლის წინ მოსკოვში მოეწყო საკავშირო თათბირ-სემინარი საბავშვო ლიტერატურის საკითხებზე, რომელზეც ყველა რესპუბლიკამ წარგზავნა თავისი წარმომადგენლები, ამ დარგის სპეციალისტები. საქართველოდან ამ თათბირში მონაწილეობა მიიღო გამოცდილმა პედაგოგმა, ცნობილმა მწერალმა, პროფესორმა არჩილ ჩხიბაიამ. სწორედ იმ ხანებში გამოვიდა მისი ფუძემდებლური ნაშრომი „ქართული საბავშვო ლიტერატურა". წარმოიდგინეთ, რაოდენ ღრმა ინტერესი და გაოცება გამოიწვია არჩილ ჩხიბაიას გამოსვლამ ზემოხსენებულ თათბირზე, როცა მან განაცხადა, რომ ქართული საბავშვო მწერლობა სათავეს იღებს ჩვენი წელთაღრიცხვის მეცხრე საუკუნიდან, როცა დაიწერა აგიოგრაფიული მოთხრობა „მარტვილობა ცხრათა ყრმათა კოლაელთა", რომლის ავტორის სახელი არ შემოინახა ისტორიამ, ხოლო მოთხრობის შინაარსი ეხება ქრისტიანობის უძველეს ხანას, არა უგვიანეს მეექვსე საუკუნისა. აკად. კორნელი კეკელიძე ამ მოთხრობას მიიჩნევს უმნიშვნელოვანეს ისტორიულ დოკუმენტად, რომელიც ნორჩ თაობას უჩვენებს ცხოვრების ჭეშმარიტ გზას, შთაუნერგავს ყრმას ჰუმანიზმის კეთილშობილურ იდეალებს. მოთხრობაში გადმოცემული ამბავი ხდება მტკვრის სათავეში, ხეობაში, რომელსაც კოლა ერქვა და სადაც ერთად ცხოვრობდნენ ქრისტიანებიცა და წარმართებიც. უმეტესობას წარმართები შეადგენენ, სოფლის მთავარიც წარმართია. ქრისტიან ბავშვებთან ერთად თამაშობენ ხოლმე წარმართთა ცხრა ბავშვი, შვიდი-ცხრა წლისა. ამათ გადაიღეს და შეითვისეს ქრისტიანი ამხანაგების ზნე-ჩვეულებანი. კერძოდ, დარეკავდნენ თუ არა ეკლესიაში და ქრისტიანი ბავშვები გაემართებოდნენ თუ არა ეკლესიისაკენ, ეს წარმართებიც უკან მისდევდნენ, მაგრამ მათ ეკლესიაში აღარ უშვებდნენ — მოინათლეთ და მაშინ შეგიშვებთო, ეუბნებოდნენ. ბავშვებმა მართლაც ჩუმად, დედ-მამის ნებადაურთველად და შეუტყობინებლად ნათელიღეს ღამით მდინარე მტკვარში, ვინაიდან დღისით მღვდელი ვერ გაბედავდა ამას წარმართთა შიშით. მშობლებმა ეს რომ გაიგეს, შესჩივლეს სოფლის მთავარს — წარმართს, იმან უთხრა — თქვენი შვილები არიან და როგორც გინდათ, ისე მოეპყარითო. ფანატიკურად განწყობილმა წარმართებმა მიიყვანეს თავიანთი შვილები იმ ადგილას, სადაც მათ ნათელიღეს, ამოთხარეს ორმო და ბავშვები შიგ ჩაყარეს.

ათასზე მეტმა წელმა გაიარა ამ შესანიშნავი მოთხრობის დაწერის შემდეგ. ვინ მოსთვლის, რამდენმა წყალმა ჩაიარა, რა ქარმა არ იქროლა, მაგრამ დახეთ, როგორ ცოცხლად და ახლებურად ჩანს ეს ნათლობის ამბავი, თითქოს გუშინ მომხდარიყოს, ოღონდ მოთხრობაში ცნება „წარმართი" შეცვალეთ ცნებით „ათეისტი" ან „ულმერთო". და თქვენს თვალწინ არც ისე შორეული წარსული გადაიშლება, როცა სუსხიანი კომუნისტური რეჟიმის პირობებში მრავალზე მრავალი მოქალაქე თავს არიდებდა შვილის ქრისტიანული წესით განათლას, ხოლო პარტიულისათვის ეს კატეგორიულად აკრძალული იყო და ვინც ამ წესს დაარღვევდა, პარტიულ ბილეთს უნდა გამოსთხოვებოდა. ამ საკითხზე არსებობს ვ. ი. ლენინის პირდაპირი მითითება — ვინც ბავშვს ქრისტიანული წესით განათლავს, ის პარტიიდან უნდა გაირიცხოს (იხ. ლენინი, თხზულებათა სრული კრებული, ტომი 50, გვ. 330, რუსულ ენაზე).

მართლაც რომ სანიმუშო, ასე ვთქვათ, პრეისტორია აქვს ქართულ საბავშვო მწერლობას, რომელმაც თავისი ნამდვილი აღორძინება ჰპოვა მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20 საუკუნეში, მაგრამ ამ ბოლო ხანებში აქაც გაჩნდა ერთი შეხედვით თითქოს გადაულახავი დაბრკოლება, სად არის ამ შეფერხების სათავე?

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესის დაწყებამ დიდი ცვლილებები გამოიწვია ქართველი ერის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ფართო გზა მიეცა კერძო წამოწყებებს, შეიზღუდა, ზოგჯერ ნულამდისაც დაეცა სახელმწიფო სტრუქტურების ქსელი, სათავე დაუდო ბევრ პერსპექტიულ ინიციატივას. სასიკეთო პროცესი შეუჩერებელი ნაბიჯებით მიმდინარეობს და ეჭვი არ უნდა ვიქონიოთ, რომ სასურველი შედეგებიც ჩქარა იჩენს თავს. მაგრამ ახლავე, დაუფარავად უნდა ითქვას ისიც, რომ სახელმწიფო სტრუქტურებზე ასე უღვთოდ ზურგის შექცევა, მთელი რიგი სასიცოცხლო საქმეების სახელმწიფო მზრუნველობაზე ასე ხელაღებით უარის თქმა, სიავით იმუქრება. ერთ-ერთი ამისთანა საქმიანობა წიგნის გამოცემაზე ფიქრია. ადრე რესპუბლიკაში ათობით დარგობრივი და საერთო სახელმწიფო გამომცემლობა მოქმედებდა და ახალ წიგნებს აწვდიდა მკითხველს. ნეტარხსენებული „სახელგამის", ასევე „საბლიტგამის", „ნაკადულის", „ხელოვნების", „აკადემიის", „მერანის", „განათლების" გამოცემები ამშვენებდა ჩვენს ეროვნულ კულტურას, კერძო და სახელმწიფო ბიბლიოთეკებს. აღარაფერს ვამბობთ მთელ რიგ დარგობრივ, საუწყებო, სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების გამომცემლობათა საქმიანობაზე. მათი ჩინებული გამოცემებიც საქვეყნოდ იყო ცნობილი ჩვენშიცა და საზღვარგარეთაც. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის შედეგად ამ გამომცემლობათა საქმიანობა შეიზღუდა, ზოგისა სრულიად შეწყდა. წიგნის გამოცემის მზრუნველობაზე სახელმწიფომ ხელი აიღო და ყველაფერი კერძო ინიციატივას მიანდო. თუ რამდენად შეუწყნარებელია ეს ღონისძიება ახლაც კარგად ჩანს, ხოლო მისი დამღუპველი შედეგები გვიან უფრო საშინლად იჩენს თავს. ამჟამად წიგნის გამოცემა არავითარ სახალხო მიზნებს არ ექვემდებარება. იცემა ყველაფერი, ვისაც რა მოესურვება, კარგიცა და ავიც, იცემა უპირატესად ის, რაც კომერციულ ინტერესებს აკმაყოფილებს, ეკონომიკურ მოთხოვნებს შეესატყვისება. ეკონომიკური დაინტერესება, ბუნებრივია, გახდა წიგნის გამოცემის (არა მარტო ამის, არამედ სხვა სასიცოცხლო საქმიანობის!) მთავარი მამოძრავებელი ფაქტორი. შეწყდა საკითხავ წიგნზე სახელმწიფოებრივი მზრუნველობა. მართალია, ზოგიერთი ახლად აღმოცენებული კერძო გამომცემლობა ზოგჯერ ახერხებს ხოლმე ცალკე საინტერესო წიგნთა გამოცემასაც, რასაც ასე ეტანება მკითხველი, მაგრამ ეს საკმარისი სრულიად არ არის. ახალი თაობა არსებითად ვერ ეცნობა დღევანდელობის ამსახველ ლიტერატურას. ახალი მხატვრული ქმნილებანი, ადამიანთა ეს სულიერი საზრდო და პირველი მოთხოვნების საგნები, საკუთრივ ლექსები **და პოემები, მოთხრობები და ნოველები, რომანები და პოპულარული კრიტიკული ნარკვევები, რომელთა ერთი ნაწილი, ცოდვა-მადლის წყალობით მაინც რომ იბეჭდება მცირე ტირაჟიან ჟურნალ-გაზეთებში, მკითხველთა ფართო მასისათვის ძნელად ხელმისაწვდომია. ახლა წიგნის არც მყიდველი გვყავს და არც მკითხველი. ორივე შეიზღუდა.** მივექანებით სულიერი დაცემისაკენ.

ამას **წინათ ერთი დიდი უმაღლესი სასწავლებლის** სტუდენტებს შევხვდით და შინაურულად გამოვესაუბრეთ. უნებურად სიტყვამ მოიტანა კითხვა: აბა, ჭაბუკებო, ამ მოკლე ხანში რა ახალი მხატვრული წიგნი წაიკითხეთ, რომელი ლექსების კრებული და მოთხრობა-რომანები მოგეწონათ-თქო? სავალალო პასუხები მივიღეთ: არც ერთი წიგნი არ წაგვიკითხავს, ახალ წიგნებს სად ვიშოვნიდითო! განა ეს იმ უბედურებას არ მოასწავებს, რომ ხელიდან გვეცლება წიგნიერი, მშობლიურ ლიტერატურას დაუფლებული ახალი თაობა, მოზრდილებზე რომ არაფერი ვთქვათ? ყმაწვილს გულითაც რომ ძალიან სურდეს ახალი წიგნის წაკითხვა, შეძლებს კი მის შეძენას! ფასებს არ იკითხავთ? წიგნის მაღაზიების მეტი ნაწილიც კი დიდი ხანია მოგონების საგნად იქცა. თამამ მეჯიხურეებს ზოგი მაღაზია შეიძლება გადაურჩა, მაგრამ იქ ახალ წიგნებს ადვილად ვერ იშოვნით. სადმე იყიდება ჩვენი კლასიკური მემკვიდრეობის ძეგლები? მოძებნეთ, თუნდაც, „ვეფხისტყაოსანი"! წამლად რომ გინდოდეთ, მისი ახალი გამოცემის შოვნა გაგიჭირდებათ. „ვისრამიანი", „ამირანდარეჯანიანი", „სიბრძნე სიცრუისა", დ. გურამიშვილის „დავითიანი" მრავალი წელია სულ არ გამოცემულა. ძველი გამოცემები ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცნენ. გაიკითხეთ, თუ სადმე წააწყდეთ ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსებს, ალექსანდრე ჭავჭავაძისა და გრიგოლ ორბელიანის თხზულებებს, ილია ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივსა" და „გლახის ნაამბობს", „კაცია-ადამიანსა" და „განდეგილს", „კაკო ყაჩაღსა" და „მგზავრის წერილებს", (სასწავლო ქრესტომათიების პუბლიკაციებს მხედველობაში არ ვღებულობთ!), აკაკი წერეთლის „ბაშიაჩუკსა" და „გამზრდელს", „თორნიკე ერისთავსა" და პატრიოტულ ლექსებს, ვაჟა-ფშაველას „გველის მჭამელსა" და „ბახტრიონს", „სტუმარ-მასპინძელსა" და „ალუდა ქეთელაურს", ალექსანდრე ყაზბეგის „ელგუჯასა" და „მამის მკვლელს", გიორგი წერეთლის, ეგნატე ნინოშვილის, დავით კლდიაშვილის, შიო არაგვისპირელის, ნიკო ლომოურის, სოფრომ მგალობლიშვილის, ეკატერინე გაბაშვილის, დანიელ ჭონქაძის, ლავრენტი არდაზიანის, მიხეილ ჯავახიშვილის, ნიკო ლორთქიფანიძის, ლეო ქიაჩელის, კონსტანტინე გამსახურდიას, დემნა შენგელაიასა და სხვათა ცალკე თხზულებებს, რომლებიც დამკვიდრებულია ჩვენი ეროვნული კლასიკის საგანძურში. ამას მიუმატეთ ქმნილებანი ამჟამად აქტიურად მოქმედი თანამედროვე ქართველი მწერლობისა, რომელთაც უკვე მსოფლიო აღიარება ჰპოვეს, ისინი წარმატებით განაგრძობენ კლასიკური მწერლობის ტრადიციებს, ახალ სიმაღლეზე აჰყავთ ეს ტრადიციები და იმავე დროს არ ივიწყებენ ნორჩ თაობას, პირნათლად იხდიან თავიანთ პატრიოტულ ვალს მის წინაშე. საკმარისია აქ დავასახელოთ მოწინავე ქართველი პროზაიკოსების — რევაზ ჯაფარიძის, გურამ ფანჯიკიძის, ოთარ ჩხეიძის, ჭაბუა ამირეჯიბის, არჩილ სულაკაურის, გურამ გეგეშიძის, ოთარ ჭილაძის, თამაზ ჭილაძის ახალი რომანები, რომლებიც ამ ბოლო წლების მანძილზე გამოქვეყნდა. უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში ჩვენს ახალგაზრდა მკითხველთა არმიას ათი ათასობით შევსება შემატა. მისი რიგები განუწყვეტლივ იზრდება, ყოველ შევსებას ახალი სულიერი მოთხოვნები უჩნდება. ჩვენ მოვალენი ვართ ხელი შევუწყოთ ნორჩი მკითხველის გონებრივი ჰორიზონტის გაფართოებას. ეს ერის მომავალზე ზრუნვის ერთ-ერთი კარდინალური მოთხოვნაა. ერის მომავალი და იმედი სწორედ ეს ნორჩი თაობაა. განა მის სულიერ აღზრდაზე სახელმწიფომ უარი უნდა თქვას?!

ამ ბოლო წლებში კიდევ ერთი საოცარი და ფრიად საინტერესო ამბის მოწმენი გავხდით — ქართველ მწერალთა ადრინდელ, რევოლუციამდელ დაწერილ ნაწარმოებებს სამშობლოს თემაზე თითქოს ახალი სიცოცხლე მიენიჭათ, ახალი ძალით აჟღერდნენ, ხელახლა გამოვიდნენ იმ ბრძოლის ველზე, რომელსაც მკითხველის გული და მისი სულიერი სამყარო ჰქვია. მართალია, თავის დროზე მათ აქტუალობა არ აკლდათ. მაგრამ ამჟამად, ეროვნული განსაცდელის ჟამს, როცა „ქვეყანა იქცა დუქნადაა", გორდა-ხმალი რომ მოსთქვამს და ჩივის ვაჟა-ფშაველას ლექსში „ჩივილი ხმლისა", მაშინ მათ ძალა ემატებათ, საქვეყნო განგაშის ხმიანობა ეძლევათ. ეს ითქმის კერძოდ ნიკო ლორთქიფანიძის საშობაო მინიატურაზე, რომელიც 1910 წელს დაიწერა და რომელსაც შემზარავი სათაური აქვს — „საქართველო იყიდება". „იყიდება საქართველო — ვკითხულობთ მასში, — მინდორ-ველით, მთა-გორით, ტყით, ვენახით, სათესით; წარსულის ისტორიით, მომავალი სვე-ბედით... იყიდება ერთიანად, შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე და ოსეთიდან სპარსეთამდე. იყიდება ნაწილ-ნაწილ: კახეთი და იმერეთი, ქართლი, სვანეთი, და სამეგრელო, გურია და ლეჩხუმი, რაჭა და ჯავახეთი, იყიდება პატარ-პატარა ნაჭრებად, ვისაც რამდენი სურს და როგორც უნდა: ნისიად, უფასოდ, ნაღდად, დროებით და სამუდამოდ, ბანკის საშუალებით და ჩვენი დახმარებით".

გული დაგეწვება კაცს და ცრემლი მოგადგება თვალზე, როცა ჩაიკითხავ ამ მინიატურის ფინალს, როცა ბრაზმორეული და სევდით გულშეწუხებული მწერალი წამოიძახებს:

„იყიდეთ ბარემ მთლად, გაჩეჩქეთ და გაგლიჯეთ, რასაც საქართველო ერქვა და რაც დღეს ორრადდარჩენილი აძლებს ყორნებს და გულს უკლავს უძლურ პირისუფალს!".

არანაკლებ მძაფრი და გულისშემძრავია მეორე მინიატურა, სათაურით „ქრისტე", რომელიც მწერალს 1912 წელს დაუწერია — იგი მხურვალე ლოცვასა ჰგავს, რომელშიაც ავტორი ევედრება უფალს, გადაარჩინეო საქართველო! ამავე თემას ეძღვნება მესამე მინიატურა, რომელსაც „გული" ეწოდება. მთელ ამ მინიატურებს სასტამბო ფორმის მეოთხედიც კი ეყოფა, ეს იქნება მართლაც მინიატურული ლამაზი წიგნაკი, რომელსაც მკითხველის პატრიოტული აღზრდის თვალსაზრისით დიდი და საპატიო საქმის გაკეთება შეუძლია.

„მე პატარა ქართველი ვარ კავკასიის მთების შვილი და განცხრომით სხვაგან ყოფნას, მირჩევნია აქ სიკვდილი", — ამ პატარა ლექსის განვლილი ათეული წლების მანძილზე ვინ მოსთვლის, რაოდენი ქართველი [illegible] თუ ქალიშვილის გული აუვსია სიამაყის გრძნობით და იმის შეგნებით, რომ სადაც უნდა იმყოფებოდეს იგი, ქართლ-კახეთში თუ იმერეთში, მესხეთ-ჯავახეთსა თუ გურიასა და სამეგრელოში, აჭარასა თუ აფხაზეთში, იგი ღვიძლი შვილია ერთი მთლიანი, მტკიცედ შეკრული ძველისძველი სახელმწიფოსი, რომელსაც საქართველო ჰქვია — „ყველა ჩემი სამშობლოა, საყვარელი საქართველო". დუტუ მეგრელის ამ პატარა ლექსმა გააგრძელა ქართული პოეზიის მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია და ამ მთლიანობას, ბევრიც რომ ეცადოს, ვერ დაარღვევენ ვერავითარი არძინები თუ მისი ჯურის სხვა გველის წიწილები, რომლებიც სეპარატიზმის შხამით სწამლავენ გულუბრყვილო ადამიანების შეგნებას. არეულმა დრომ გაუხსნა მათ მტაცებლური მადა და ისევ დრო გაფანტავს მათს ილუზიებს, ისევ ჩადგება წყალი ნაგუბარში. „ჩვენი თავი ჩვენადვე უნდა გვეყუდნეს" — ლელთ ღუნიას ეს სიტყვები ქართველ კაცს მუდამ გულის ფიცარზე უნდა ეწეროს.

აი, რა შინაარსის წიგნი სჭირდება ამჟამად ნორჩ მკითხველს.

ამჟამად წიგნის ბაზარზე საბავშვო გამოცემათა, კერძოდ, ხალხური ზღაპრისა და ლექსის, ნამდვილი შიმშილია. სანთლით საძებარია მათი სახალხო კრებულები. ზღაპრები აქა-იქ იცემა, მაგრამ მათი შეძენა შეუძლებელია, ხალხური ლექსების კრებულები კი უკანასკნელ წლებში სულ არ დაბეჭდილა. ხალხური ლექსები და ზღაპრები მოზარდებს მაცოცხლებელი ჟანგბადივით სჭირდებათ. ხალხური ზღაპარი ამდიდრებს ბავშვის ლაღ ფანტაზიას, აყვარებს წიგნის კითხვას, დედაენას, გონება-მახვილურ სიტყვა-პასუხს. წკრიალა ქართული ხალხური ლექსებისა და ზღაპრების კრებულები ნორჩ მკითხველებს არ უნდა მოაკლდეთ.

ბევრ წიგნსა და ავტორს ამ დუხჭირ დღეებში აღმოაჩნდათ თავიანთი კეთილშობილი მზრუნველები და სპონსორები. სპონსორებს ელოდებიან დაობლებული „ნაცარქექია" და „წიქარა", „ირმისა" და „უკვდავების მაძიებელი ჭაბუკი", „ეთერი" და „ასფურცელა". ვინ უნდა იზრუნოს, უწინარეს ყოვლისა, ამისთანა წიგნების გამოცემაზე თუ არა სახელმწიფომ. კერძო ინიციატივას აქ ცოტა გასაქანი ექნება. ნორჩი თაობის მართებულად და წიგნიერად აღზრდა, სულიერად გამოწრთობა ხომ ყოველი სახელმწიფოს უპირველესი და უწმინდესი მოვალეობაა. მისი გადადება და მხოლოდ კერძო სტრუქტურებისათვის ხელში გადაცემა გამოუსწორებელ უბედურებას გამოიწვევს. ჩვენ დღეს ამას ოდნავ ვგრძნობთ, მაგრამ ამჟამინდელი ავი ცდუნება ათი-ოცი წლის შემდეგ გამოიღებს „ნაყოფს". გვეყოლება საზოგადოების ისეთი ნაწილი, რომელსაც არ ეცოდინება ჩვენი მწიგნობრობისა და კულტურის უნიკალური ძეგლები, მშობლიური პოეზია და პროზა, ხალხური ლექსი და ზღაპარი.

ადრე გამოცემული წიგნები საკმარისი არ არის. მას განუწყვეტლად შევსება უნდა. ცოტა ხნის წინათ ბევრი სახელმწიფო გამომცემლობა უძღვებოდა საქმეს. დიდძალი ახალი წიგნი იბეჭდებოდა, მაგრამ მაინც არ გვყოფნიდა. ამჟამად კი არცერთი ძალამოსილი სახელმწიფო გამომცემლობა არა გვაქვს, ეკადრება კი ეს ჩვენს თავისუფალ, დემოკრატიულ საქართველოს?

ორიოდე ფაქტი წარსულიდან. ზემოთ ზღაპრების გამოცემაზე ვლაპარაკობდით. ეს უდავოდ საშური საქმეა. ზღაპრების გამოცემის მაღალი კულტურა XIX-XX საუკუნეთა სამყაროს უმნიშვნელოვანესი მონაპოვარია. საყოველთაოდ ცნობილია ანდერსენის, შარლ პეროს, ძმები გრიმებისა და სხვათა ზღაპრების იშვიათი გამოცემები. მათი საშუალებით მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ნორჩმა თაობამ შეითვისა ხალხური სიბრძნის სიდიადე და სინატიფე. ძმები გრიმების ზღაპრები გერმანიაში ხელიხელ საგოგმანებელ წიგნადაა მიჩნეული თითქმის ორი საუკუნეა. გერმანიაში დღესაც დაცულია ტრადიცია: ყოველი წლის დასაწყისში ნორჩ თაობას ნობათად მიართვან გრიმების ზღაპრების კრებული დორეს საოცარი ილუსტრაციებით. ამ კრებულის რამდენიმე გამოცემა ჩვენს საკუთარ ბიბლიოთეკაშიცაა დაცული გერმანელი მეგობრების მიერ საჩუქრად მოძღვნილი. ტრადიცია არ დარღვეულა.

ჩვენი ხალხური ზღაპრები თავიანთი მხატვრულ-ესთეტიკური თვისებებითა და ღირსებებით მსოფლიოს არც ერთი ხალხის ზღაპრებს არ ჩამოუვარდება, თუ არ სჯობნის კიდეც. რა შეედრება მკვეხარა „ნაცარქექიას", „უკვდავების მაძიებელ ჭაბუკს", „ერთი მანეთის შოვნას", „მეჩონგურეს", „დედინაცვალსა და გერს", „ნალის შეჭამადსა" და გონებამახვილობის შეგონებებით მდიდარ ტკბილ ქართულ ზღაპრებს, რომლებიც ასე უყვართ ჩვენს ბავშვებს, და არა მარტო ბავშვებს, როგორ გვიბრძანებთ, უარი ვთქვათ მათ მასობრივ და ილუსტრირებულ გამოცემებზე და კომერციის მოყვარულთა თავში საცემად გავიმეტოთ?

ამას დაუმატეთ სათავგადასავლო ჟანრის ლიტერატურა, რომელსაც ცოცხალი ზალისით ეცნობა ნორჩი მკითხველი. ჩვენ საკმაოდ მდიდარი სათავგადასავლო ლიტერატურა გვაქვს. გავიხსენოთ თუნდაც, სერგო კლდიაშვილის „აზნაურ ლახუნდარელის თავგადასავალი" რამდენი რამის მაჩვენებელია. ეს ჩინებული მოთხრობები გვერდში უდგას მარკ ტვენის „ტომ სოიერის თავგადასავალს", ჰარიეტ ბიჩერ-სტოუს „ბიძია თომას ქოხს", ჟიულ ვერნისა და გულივერის საოცარ ფანტასტიკურ რომანებს, მსოფლიო საბავშვო ლიტერატურის სხვა შედევრებს, ქართველი მოზარდი მკითხველი ჯერ კიდევ XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან რომ გაეცნო დიდებულ მამულიშვილთა ბრწყინვალე თარგმანების წყალობით. განა საჭირო არ არის მათი კვლავ და კვლავ გამოცემა და ბავშვების გახარება?

ამიტომ, გვგონია, დადგა დრო, ვიფიქროთ შექმნილი მძიმე ვითარების გადალახვაზე. მასობრივი მოხმარების წიგნთა გამოცემას ნუ მივანდობთ მარტო კერძო სტრუქტურებს. ეს ლიტერატურა ნორჩ მკითხველებს ხელმისაწვდომად უნდა მიაწოდოს სახელმწიფო გამომცემლობამ. მის გამოცემას უნდა წარმართავდნენ სახელმწიფო ორგანოები ისევე, როგორც ამ ორგანოების წმინდა მოვალეობაა მოსწავლეთა სახელმძღვანელოების გამოცემა და სკოლებისათვის მიწოდება. ჩვენ კარგად გვესმის, რომ ეს ადვილი საქმე არ არის. გვაკლია ქაღალდიცა და პოლიგრაფიული საშუალებებიც.

საბავშვო და მოზრდილთათვის გათვალისწინებული წიგნების გამოცემა ევალება გამომცემლობა „ნაკადულს", რომელსაც ახლახანს სათავეში ჩაუდგა გამოჩენილი პოეტი ოთარ ჭელიძე, ამ საქმის ღირსეული და ენერგიული მუშაკი. გამომცემლობას ჰყავს რედაქტორ-სტილისტთა შესანიშნავი კადრები, აქვს საგამომცემლო საქმიანობის დიდი პრაქტიკა. მას ყოველმხრივ ხელი უნდა შევუწყოთ. რა თქმა უნდა, მას არ უნდა მოვთხოვოთ სქელტანიანი ტომეულების ბეჭდვა, როგორც ადრე, როცა ხუტა ბერულავამ საშური საქმე შეასრულა და ოც დიდ ტომად გამოსცა ქართული ლიტერატურის მთელი ოქროს ფონდი „საუნჯის" სახელწოდებით, ასეთი რამ ახლა, ჯერჯერობით შეუძლებელია, მაგრამ ეს დროც მალე დადგება. მანამდე კი უნდა დავკმაყოფილდეთ ათ-თორმეტ თაბახიანი კრებულების ზედიზედ მიყოლებით გამოცემით, მასობრივი ტირაჟით მოკრძალებულ ფასებში. ბევრი რამ შეგვიძლია მოვიკლოთ (და ვიკლებთ კიდეც!), მაგრამ აქ ლოდინი და ყოყმანი შეუწყნარებელია. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ „ნაკადული" ამ მძიმე, მაგრამ ღვიძლ საქმეს გაართმევს თავს. საბავშვო წიგნის გამოცემის საქმე ახლა ფრიად სამედო ხელშია.

ამ საქმეზე თავისი სიტყვა უნდა თქვას რესპუბლიკის პარლამენტმა. ჩვენ თვალებში შემოგვცქერის ერის მომავალი. ის ელოდება ყურადღებას, ელოდება საკითხავ წიგნებს (ჩვენ აღარაფერს ვამბობთ წიგნის ამჟამინდელ მწარე საერთო ხვედრზე, რაზეც სამართლიანი გულისტკივილით გამოთქმული მწერალ გ. ღვინჯილიას სტატიაში, რომელიც ამასწინათ „საქართველოს რესპუბლიკაში" დაიბეჭდა). რა გულმა უნდა გაგვიძლოს, რომ ამაზე არ ვიფიქროთ და მას პერსპექტიული პასუხი არ გავცეთ. ჩვენს მომავალს, ხვალინდელ დღეს საალერსო დაპირებებთან ერთად რეალური, გარანტირებული პასუხი უნდა გავცეთ. ეს მოთხოვნა მარტო ჩვენი უბრალო სურვილი ან ჟურნალისტური შეგონება როდია, — შექმნილი ვითარების გააზრების უშუალო შედეგებითაა განპირობებული.

საქმე თქვენზეა, ძვირფასო პარლამენტარებო! დიდი საქმის პრაქტიკულად მოგვარებაში ჩვენ სრული იმედი გვაქვს რესპუბლიკის პრეზიდენტის, ბატონ ედუარდ შევარდნაძის მზრუნველობისა და მხარდაჭერისა. კარგად გვესმის და ჯეროვნად ვითვალისწინებთ იმას, რომ ჩვენ დიდად პატივცემულ პრეზიდენტს ერის სიკეთისათვის დაუცხრომელ შრომა-გარჯაში სხვა ცოტა საზრუნავი როდი აქვს, მაგრამ გვჯერა, ის გამონახავს დროსაც და საშუალებას, რომ თავისი მზრუნველობის კალთა გადააფაროს ბავშვის და მოზარდის სულიერი აღზრდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საშუალებას — ნორჩი თაობის საკითხავი წიგნების გამოცემის საშვილიშვილო საქმეს.

ნორჩი მკითხველი ელოდება საკითხავ წიგნებს!

გიორგი ნატროშვილი,
ალექსანდრე ღლონტი.

ახალი ნომერი

„მნათობი“ კვლავ მნათობობს!

მნათობი

3-4

1996

ახლახან მკითხველმა მიიღო ტრადიციული ქართული ლიტერატურული ჟურნალის (წელიწადი 72-ე) ახალი, მე-3-4 წიგნი (რედაქტორი არჩილ სულაკაური). დიახ, „მნათობი“ კვლავ მნათობობს, რაც ფრიად სასიხარულოა.

ჟურნალში უკვე კარგა ხანია იბეჭდება ბიბლია, ძველი აღთქმა. ახალ გამოცემაში იგი გრძელდება ოცდამეერთე თავიდან (ეზეკიელ წინასწარმეტყველი). შემდგომ ვეცნობით გიგი სულაკაურის, გიორგი ხუხაშვილის (მას 70 წელი შესრულებია), ვასილ გვეტაძის, დალილა ბედიანიძის, შაბურა არაბულის, ზვიად რატიანის პოეტურ ქმნილებებს.

პროზა: გრძელდება ჯემალ ქიქიას რომანი „კიბე იაკობისი“ აქვეა, მამუკა დოლიძის „არაფრის შესახებ“ (ამავე სახელწოდების რომანის მოტივებზე), ლადო სულაბერიძის „ცხადსიზმარიანა“ (ნაწილი მეორე), პერ ლაგერკვისტის „ჯალათი“ (თარგმანი მანანა მიქელაძისა).

განყოფილებაში „ფაქტები, მოგონებები“ გამოქვეყნებულია პოეტ კოტე მაყაშვილის უფროსი ასულის, 1921 წლის ანექსიის მსხვერპლის, 19 წლის მარიამ მაყაშვილის დღიური, რომლის პუბლიკაციაც ეკუთვნის მის უმრწემეს დას, შესანიშნავ ქართველ მანდილოსანს მარიამ (ნუგეშა) მაყაშვილს.

„მაროს სახელი ჩვენს ოჯახში იდუმალებით იყო მოცული და ამიტომ იგი ჩემთვის ახლობელიც იყო და შორეულიც... ზღაპრული, დედაჩემის საწოლთან ეკიდა მაროს სურათი, მისივე ხელით ნაქარგ ჩარჩოში. საწერ მაგიდაზე, ზარდახშაში მაროს დღიურები ინახებოდა და კიდევ მისი მოჭრილი თმა“ — ასე იწყება ქალბატონ ნუგეშას (ასე იცნობენ მას) შესავალი წერილი. ქალბატონ ნუგეშას წყალობით გავეცანი მე ამ წლობით ხელშეუხებელ დღიურს — უძვირფასეს საოჯახო რელიკვიას, რომელიც დაედო საფუძვლად ჩემს „შარავანდედს“ და შემდგომ ნარკვევებსაც, წიგნად რომ შევკარი და თუმც რედაქტირებულია, გამომცემლობა „სამშობლომ“ ვერა და ვერ მოახერხა მისი დაბეჭდვა (აგვისტოში კი 95 წელი სრულდება მარიამ მაყაშვილის დაბადებიდან!).

„ყველას უნივერსიტეტელებს თრგუნავენ“ — რევაზ კვერენჩხილაძის ამ სტატიაში მოთხრობილია ორმოციანი წლების მიწურულის რეპრესიების შესახებ. აქვე წაიკითხავთ მაია ნინიძის გამოკვლევას „იგავური ენა და სიტყვაკაზმული ლიტერატურა“.

ნანა ღვინეფაძე.

ჩოგანი

„ბრინჯაოს“ ბიჭები

ბანგკოკი ერთ კვირას მასპინძლობდა მსოფლიოს მეორე ჩემპიონატს ტაილანდურ კრივში. ასპარეზობაში 50 ქვეყნის სპორტსმენი მონაწილეობდა. ფინანსური პრობლემების გამო ჩვენი რესპუბლიკა ცამეტიდან მხოლოდ ხუთ წონით კატეგორიაში იყო წარმოდგენილი. ამას უიღბლო კენჭისყრაც დაემატა, რომელმაც სტარტზევე ფავორიტებთან „დაგვაჯახა“.

ყველაფრის მიუხედავად, ბიჭები აზიიდან ორი ბრინჯაოს მედლით დაგვიბრუნდნენ — **თემურ ჭორკოშვილი** (51 კგ) და **მიშიკო ძაგნიძე** (60კგ). ეს უკანასკნელი ნახევარფინალში მცირე უპირატესობით დამარცხდა მომავალ ჩემპიონ, ტაილანდელ ჩინარინთან.

საპრიზო ადგილის კიდევ ერთი რეალური პრეტენდენტი გოგა კორძაძე (54 კგ) ტენდენციურმა მსაჯობამ „იმსხვერპლა“. მათგან სამი ადგილობრივი გახლდათ და, რაღა გასაკვირია, რომ მათ თანამემამულეს, პროფესიონალთა შორის მსოფლიოს ჩემპიონ პრაკანს დაუჭირეს მხარი, სინამდვილეში კი გოგამ ყველა კომპონენტში დაჯაბნა მრისხანე მეტოქე, რასაც პროტესტის განხილვის დროს გერმანიის, საფრანგეთის, მაროკოს, უკრაინის, რუსეთის, ტაილანდისა (!) და სხვა გუნდების წევრებიც დაეთანხმნენ. სამწუხაროდ, გადაწყვეტილება აღარ შეცვლილა, მხოლოდ მსაჯები დასაჯეს. აღსანიშნავია, რომ შემდეგი ორთაბრძოლები პრაკანმა ამკარა უპირატესობით მოიგო და იგი ტურნირის საუკეთესო სპორტსმენად აღიარეს.

რონინ ფილაურმა (57 კგ) თანაბარ პაექრობაში წააგო მომავალ ჩემპიონ, ტაილანდელ პროფესიონალ ჩაბაირთან, გიორგი მამულაძემ (63 კგ) კი იაპონელ მოწინააღმდეგესთან კარგად დაწყებული შეხვედრა დარბაზში აუტანელი — 40-გრადუსიანი სიცხის გამო შეწყვიტა.

საამაყოა, რომ ჩვენმა ახალგაზრდულმა გუნდმა გაუსწორო ამერიკის შეერთებული შტატების, კანადის, კორეის, ირლანდიის, უკრაინისა და სხვა გამოცდილ ნაკრებებს, რაც ოპტიმისტურად განგვაწყობს.

ტაიბოქსის ქართველი ოსტატების მომზადება და გამგზავრება უზრუნველყო ქვეყნის კიკბოქსინგისა და ტაიბოქსის ფედერაციამ (პრეზიდენტი **გოჩა ჯავახია**). ჩვენთან საუბარში ფედერაციის თავკაცმა დახმარებისათვის მადლიერების გრძნობით მოიხსენია ბატონები **ბადრი ფირცხელიანი** (სავალდებულო ინსპექცია) და **თემურ თეთრაძე** (ავიაკომპანია „ორბი“).

მორიგი მსოფლიო ჩემპიონატი გაისად თებერვალში კვლავ ბანგკოკში გაიმართება.

* * *

ფინალური შეხვედრების წინ ტაილანდის პრემიერ-მინისტრის და მთავრობის მონაწილეობით ტურნირის ორგანიზატორებმა გამართეს პრესკონფერენცია, რომელიც ოლიმპიური თამაშების პროგრამაში ტაილანდური კრივის შეტანას მიეძღვნა.

ამ განზრახვას ის გარემოება უწყობს ხელს, რომ კიკბოქსინგისაგან განსხვავებით, რომელსაც ათზე მეტი საერთაშორისო ორგანიზაცია ხელმძღვანელობს და თითოეულ მათგანს თავისი ვერსიით საკუთარი ჩემპიონი ჰყავს, ტაილანდურ კრივში ერთხელისუფლებიანობაა. მით უმეტეს, შეჯიბრების წესები და სპორტსმენთა აღჭურვილობა სერიოზული ტრავმების აცილების საშუალებას იძლევა. ყოველივე ეს მაყურებელთა დიდ დაინტერესებას იწვევს, რაშიც აღნიშნულმა ჩემპიონატმაც დაგვარწმუნა — ტრიბუნები მუდამ სავსე იყო.

მიხეილ ამირიძე.

* * *

სურათზე: (მარცხნიდან) რონინ ფილაური, მიშიკო ძაგნიძე, გოჩა ჯავახია და გოგა კორძაძე. **თედო ნიკოლაიშვილის** ფოტო.

XEROX და HEWLETT PACKARD
ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში
გთავაზობთ ყველაფერს ოფისისათვის

ასლგადამღები აპარატები	
• სამაგიდო: XEROX XC520, 5009 1:1, 5310	1133 - 2374 ლარი
• საშუალო სიმძლავრის: XEROX 5614, 5316, 5317, 5621	3386 - 10400 ლარი
• დიდი სიმძლავრის: XEROX 5328, 5334, 5343, 5352	6746 - 31443 ლარი
• საინჟინრო: XEROX 2515, 3030	10752 - 23296 ლარი
ფაქსიმილური აპარატები	
• XEROX 7235, 7238, 7239 (ავტომოპასუხით), 7245	765 - 890 ლარი
• XEROX 3006 (მრავალფუნქციონალური)	2 860 ლარი
კომპიუტერები	
• HP Vectra VE-486: 486DX4-100, 8/420/1.44/SVGA 14"	2874 ლარი
• HP Vectra VL-3: Pentium 90, 8/840/1.44/SVGA 14"	4490 ლარი
• HP Vectra VT: Pentium Pro-200, 32/1GB/1.44/SVGA 14"	12525 ლარი
პრინტერები	
• ჭავლური HP DeskJet : 340; 660; 1600; XEROX XJ-5	653 - 2662 ლარი
• ლაზერული HP LazerJet: 5L; 5P; 4; XEROX 4505/08/10/20	1152 - 3910 ლარი
• ლაზერული ფერადი: HP Color LazerJet; XEROX 4900/20	14861 - 16512 ლარი
პერიფერია	
• შავთეთრი და ფერადი სკანერები HP Scanjet 4S/4P/4C/4SI	768 - 5939 ლარი
• მულტიმედია. სტაბილიზატორები, უწყვეტი კვების აპარატები, ქსელის მოწყობილობა და სხვა	
უმაღლესი ხარისხის საკანცელარიო ქაღალდი	
• XEROX "Business" A4, 80 გ/მ (500 ფურცელი შეკვრაში)	10 - 12 ლარი
• XEROX "Business" A3, 80 გ/მ (500 ფურცელი შეკვრაში)	20 - 23 ლარი
• XEROX-ის სხვადასხვა ფერისა და წონის (160-200 გ/მ -მდე)	18 - 25 ლარი
• ფაქსის ქაღალდი	6 - 7 ლარი
იტალიური, უნგრული და ბულგარული საოფისე ავეჯი	
• მაგიდები, სავარძლები, სკამები, კარადები, რბილი ავეჯი	

ჩვენი მისამართია: თბილისი, შავთელის ქ. 5/7, ტელ: 98-36-31, ფაქსი: 98-96-58
წარმომადგენლობა: ზუგდიდი, ფირმა «მეგო». ცოტნე დადიანის ქ. 1 ტელ: 2-40-82

ფრთხილად, მოგზაურობის მოყვარულნო!

ქვემო ქართლის შინაგან საქმეთა მთავარი სამხარეო სამმართველოს ორგანიზებულ დანაშაულობასთან და კორუფციასთან ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა ამხილეს რუსთავის ფირმა „პონტოს“ პრეზიდენტი თამარ გოგოლაძე. მან 1995 წლის მაისში ირანის ისლამურ რესპუბლიკაში სათანადო რეგისტრაციის გარეშე გაიყვანა 26-კაციანი ტურისტული ჯგუფი და მათგან მიღებული თანხის ნაწილი — 11.700 ამერიკული დოლარი მიითვისა.

საქმეს იძიებს საგამოძიებო დეპარტამენტის ქვემო ქართლის სამხარეო განყოფილება.

საქინფორმი.

ამინდი

2 მაისს

დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, იქროლებს წამში 10-15, ზემო იმერეთსა და კოლხეთის დაბლობზე 17-22 მეტრი სიძლიერის აღმოსავლეთის ქარი, ტემპერატურა ბარში — ღამით 10-15, დღისით 24-29, მთაში — ღამით 4-9, დღისით 20-25, მაღალმთაში ღამით 1-6, დღისით 15-20 გრადუსი სითბო.

აღმოსავლეთ საქართველოში იქნება ზოგან ხანმოკლე წვიმა, ელჭექით, სუსტი ქარი, ტემპერატურა ბარში — ღამით 6-11, დღისით 17-27, მთაში — ღამით 5-10, დღისით 16-21, მაღალმთაში — ღამით 0-5, დღისით 7-12 გრადუსი სითბო.

თბილისში ცვალებადი მოღრუბლულობაა მოსალოდნელი, ღამით ხანმოკლე წვიმა, ელჭექით, სუსტი ქარი, ტემპერატურა ბარში — ღამით 9-11, დღისით 20-22 გრადუსი სითბო.

რეკლამა

აუქციონი

ხუთშაბათს, 9 მაისს, ამერიკის საელჩო თბილისში აწყობს დახურულ აუქციონს, სადაც გამოტანილი იქნება ამერიკული და ევროპული წარმოების მოწყობილობები, საშენი მასალები და ხელსაწყოები, აგრეთვე, გენერატორები, სარეცხი მანქანები, საშრობები, სასადილოს მოწყობილობები, პლასტმასის მილები, შესადუღებელი აპარატები და ა. შ.

აუქციონი ჩატარდება ხუთშაბათს, 9 მაისს, 10-დან 15 საათამდე. რძის კომბინატში (ცახეთის გზატკეცილის მე-10 კილომეტრი, ორხევი).

აუქციონის სრული სიისათვის, გთხოვთ მობრძანდეთ ამერიკის საელჩოში: ათონელის ქუჩა 25, ან დარეკეთ 98-99-67/68 დამატებითი 126.

ავიღებ არენდით ექოსკოპიის აპარატს.
დარეკეთ 37-27-21. 19-დან 22 საათამდე.

ტელევიზია: ფილმები...

დღეს, 2 მაისს

„კავკასია“
18.30 — ამერიკული მხატვრული ფილმი „რაზმი“.

მეორე არხი
22.10 — რუსული მხატვრული ფილმი „საქველმოქმედო ხეჯღილი.

„ოსტანკინო“
20.05 — მხატვრული ფილმი „თავს უშველეს“; 22.40 — მხატვრული ფილმი „კუსარული ბალადა; 1.40 — მხატვრული ფილმი „დ'არტანიანი და სამი მუშკეტერი“.

„რუსეთის“ არხი
16.50 — მხატვრული ფილმი „ქორწილი“; 21.85 — კინოკომედია „შირლი-მირლი“.

ბიზნესმენთა საყურადღებოდ!

1996 წლის 13-15 ივნისს შვეციის ქალაქ ლულეოში ჩატარდება
მორიგი "ევროპარტენარიატის" ღონისძიება

"ევროპარტენარიატზე" საშუალება მოგეცემათ დაამყაროთ საქმიანი კონტაქტები სკანდინავიის ქვეყნების სხვადასხვა დარგის 400-მდე ფირმასთან და მსოფლიოს 50-მდე ქვეყნის ბიზნესმენებთან

შვეცია
ფინეთი
ნორვეგია

ამ უდიდესი მასშტაბის საქმიან შეხვედრაში მონაწილეობისათვის კონკურსის წესით შეირჩევა და გაიგზავნება რამოდენიმე ქართველი ბიზნესმენი, რომელთა მოგზაურობის ხარჯების ნაწილს აანაზღაურებს
ბიზნეს კომუნიკაციის ცენტრი - თბილისი.
მონაწილეთა შერჩევა წარმოებს 20 აპრილამდე.

ინფორმაციისათვის მოგვმართეთ:
თბილისი, კოსტავას 47, I სართული
ტელ.: 98-76-19, 98-83-71

Europartenariat
Northern Scandinavia 1996

ხსოვნა

ლევან ზედელაშვილი

სიცოცხლე გაზაფხულზე ილევიძებს...
შენმა სიცოცხლემ ამ გაზაფხულზე მიიძინა, სამწუხაროდ, სამუდამოდ.

მაინც რატომ მოხდა ასე? ასეთი ნიჭიერი და ლამაზი, უცნაურად და ღრმად მოაზროვნე რატომ გაგვირინდდი ასე უეცრად და უნუგეშოდ? რატომ დაგვიტოვე ამდენი დარდი და საფიქრალი, გაოგნებული მეგობრები და შვილის მოლოდინში სასოწარკვეთილი მეუღლე, ელდანაცემი მშობლები და ძმა...

მაინც რატომ, ჩვენო ლევან, რატომ მიიძინე სიცოცხლით სავსე გაზაფხულზე?!

ახლობლები.

შამილ დასნი

მოულოდნელად გარდაიცვალა შამილ ადოს ძე დასნი, საერთაშორისო კლასის საჭადრაკო კომპოზიტორი, სპორტის ოსტატობის კანდიდატი, 85 საჭადრაკო ამოცანის ავტორი, უმდიდრესი საჭადრაკო ბიბლიოთეკის მფლობელი.

ბატონი შამილი იყო უანგარო და კეთილსინდისიერი მუშაკი. დაუღალავად ეზიდებოდა მწვრთნელის მძიმე და საპატიო ჯვარს. მას ჰქონდა იშვიათი ნიჭი და უნარი გადაეცა აღსაზრდელებისათვის ის უზომო სიყვარული ჭადრაკისადმი, რომელიც მისი ცხოვრების არსს წარმოადგენდა. მრავალი ნიჭიერი მოჭადრაკე გამოავლინა და შეხძინა მან ქართულ საჭადრაკო სკოლას. ჭადრაკთან ერთად, ეროვნებით იეზიდი კაცი საქართველოს სიყვარულს, მამულისათვის თავგანწირვას უნერგავდა თითოეულს, რამეთუ მის გარეშე ყოველგვარი გამარჯვება მიუღწეველი იქნებოდა. მისი აღზრდილები ამაყობდნენ თავიანთი საყვარელი პედაგოგით. ჭადრაკის სამყაროს ნაზიარები პატარები მონაწილეობას ღებულობდნენ მსოფლიო და ევროპის პირველობაზე და ისიც ხარობდა ამით.

სამწუხაროდ ბატონი შამილი ვერ მოესწრო თავისი ავტორობით შედგენილი წიგნის გამოცემას, რომელიც უდროოდ დაღუპული ქალიშვილის ხსოვნას მიუძღვნა.

ვაგლახ, რომ ვერ მოასწრო მრავალი პატარის გულის აძგერება ჭადრაკით, მაგრამ მისი უკვდავი საქმეები იცოცხლებენ მის კაცურ კაცობაზე. ჩვენ კი დაგვიტოვა უდიდესი ტკივილი და სევდა.

მსუბუქი ყოფილიყოს მისთვის ქართული მიწა, რომელიც აგერეროგად უყვარდა.

თბილისის სამგორის რაიონის განათლების განყოფილება, მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი.

აკად. გრ. მუხაძის სახელობის ჰემატოლოგიისა და სისხლის გადასხმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი თანაუგრძნობს ჯანმრთელობის დაცვის მინისტრს ავთანდილ ჯორბენაძეს დედის

მარიამ კუჭუხიძე-ჯორბენაძის

გარდაცვალების გამო.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლეგია თანაგრძნობას უცხადებს საქართველოს ჯანმრთელობის მინისტრს ბატონ ავთანდილ ჯორბენაძეს დედის

მარიამ კუჭუხიძე

გარდაცვალების გამო.

თბილისის სამგორის რაიონის გამგეობა, განათლების განყოფილება, მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი იუწყება, რომ გარდაიცვალა სპორტის ოსტატობის კანდიდატი, საერთაშორისო კლასის საჭადრაკო კომპოზიტორი

შამილ ადოს ძე დასნი

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

დედა თინა, ძმა ზურაბი, ძმისწულები ქეთინო, ალიკო, უშანგი, რძალი დიანა, ბიძა დიმიტრი, მამიდაშვილი გია საჯაია ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ბელა უშანგის ასული ობოლაძე

გამოსვენება 2 V, 3 ს., ზოვრეთის ქ. № 32.

ერთად უნდა ვებრძოლოთ

ემზარ საბანაძე:

„ადმინისტრაციული პოლიციის თანამშრომელი მთელი პოლიციის სახეს უნდა წარმოადგენდეს“



კახეთის რეგიონში, კერძოდ, თელავში „მხედრიონმა“ — მაშველთა კორპუსმა შხამიანი კბილი რომ გამოაჩინა, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, პოლიციის გენერალ-მაიორი ემზარ საბანაძე სამინისტროს ოპერატიულ სამსახურებს ხელმძღვანელობდა. ოპერატიულ რაზმსაც, რომელიც კახეთში გაემგზავრა იგი ჩაუყენეს სათავეში. ექსტრემალური, არაორდინალური სიტუაცია იყო.

„მხედრიონი“ „მეორედ მოსვლის“ მოწყობით იმუქრებოდა. შეიარაღებული შეტაკება თითქოს გარდაუვალი ჩანდა. აკი, მოგვიანებით თქვეს კიდეც უშიშროების მესვეურებმა: ჩვენ რომ არ ვყოფილიყავით, შინაგან საქმეთა სამინისტროელებს დიდა-ბუდიანად ამოულეტდნენო! ემზარ საბანაძის ტყვედ ჩაგდებისა და მათი უშუალო ჩარევით გამოხსნის ვერსიაც გაავრცელეს. მაშინ ვინ იცოდა, რომ „მხედრიონი“ და უშიშროების სამსახურის ზედაფენა ერთ ტაფაში იხრაკებოდნენ, ერთი მიზანი ჰქონდათ, ერთ საბედისწერო საქმეს ემსახურებოდნენ! ახალგაზრდა გენერალი არ წამოეგო ანკესს; გონებით ზომავდა, გონებით ჭრიდა. უკავშირდებოდა თბილისს, ხელმძღვანელობას, ბევრ გადაწყვეტილებას დამოუკიდებლად ღებულობდა. მთავარია, სისხლი არ დაიღვაროს, ფიქრობდა, მთავარია, ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდესო. გაამართლა კიდეც ასეთმა ტაქტიკამ: თითქმის ყველა ევემიტანილი მშვიდობიანად დააკავეს. აქედან დაიწყო იმ დიდი შეთქმულების ჩაშლის პროცესი.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ემზარ საბანაძე ამჟამად სამინისტროს ეგრეთ წოდებულ არაოპერატიულ სამსახურებს — ადმინისტრაციულ პოლიციას ხელმძღვანელობს. ეს დეპარტამენტი შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანიზაციულ-სტრუქტურული რეფორმის შედეგად შეიქმნა.

„დაუსჯელობის სინდრომით დაავადდნენ“

21 აპრილს მცხეთასთან დიდი ტრაგედია მოხდა. თავზეხელაღებული, მთვრალი თურქი მძღოლის მიზეზით 12 ადამიანი დაიღუპა. ჩვენი საუბარიც ამ ტრაგიკული შემთხვევის განსჯა-ანალიზით დაიწყო.

— ბატონო ემზარ, მაინც სად არის ძაღლის თავი ჩამარხული? რამ გაბედინა მძღოლს ასე თავხედურად ქცევა?

— საგზაო პოლიციელებს მითითება ჰქონდათ, რომ უცხოეთის, მათ შორის, თურქეთის ტრანსპორტს საქართველოს ტერიტორიაზე თავისუფლად, დაუბრკოლებლად ემოძრავა. რა დაგიმალოთ, ნელ-ნელა დაუსჯელობის სინდრომით დაავადდნენ.

— გადაჭარბებული სიჩქარით ან მოძრაობის სხვა წესების დარღვევისათვის მაინც ხომ უნდა დაესაჯათ?

— ვსჯიდით, არ ვსჯიდით, თურქეთის საელჩო ნოტას ნოტაზე გვიგზავნიდა: ჩვენს მძღოლებს აწვალებთ, უმიზეზოდ აჩერებთო... არადა, არსად არ მიუთითებდნენ, ვინ გააჩერა, სად დასაჯეს! ბოლოს, როგორც მოგახსენეთ, ყოველ საგზაო პოლიციელს დაევალა უმიზეზოდ არ გაეჩერებინა თურქეთის ავტომანქანები. ამ ნაბიჯს რომ ვდგამდით, ჩვენი მიზანი, რასაკვირველია, კეთილშობილური იყო: ბრძოლა გამომძალველობასთან. ახლა, რაკი სხვა გზა აღარ არის, საგზაო პოლიციელებს მიეთითათ მკაცრი და, რასაკვირველია, ობიექტური რეაგირება მოახდინონ ყოველ ავტოსაგზაო დარღვევაზე!

— მაინც ვინ უნდა აგოს პასუხი მომხდარი დანაშაულისათვის? ვინ უნდა აუნაზღაუროს დაზარალებულებს მორალური და მატერიალური ზარალი?

— მოწვეული გვყავდა თურქეთის კონსული. მინისტრის მოადგილესთან ჯემალ გახოკიძესთან და სატრანსპორტო და საგზაო პოლიციის ხელმძღვანელებთან ერთად ვესაუბრეთ. საზღვარგარეთის ქვეყნების დაზღვევის ფირმების საქმიანობა სწორედ ასეთ შემთხვევებზეა გამიზნული. კონსულმა ვერ განმარტა, ვინ უნდა აანაზღაუროს ზარალი — ფირმამ? სახელმწიფომ?.. ჯერჯერობით, არაფერი არ არის გარკვეული, არადა, ჩვენს მოქალაქეებს, თურქეთის ტერიტორიაზე წესრიგს რომ არღვევენ ან დანაშაულს სჩადიან, ვარდ-ყვავილებით არავინ ხვდება!

შექმნილი სიტუაციის შესაბამისად, მინისტრის მოადგილეებმა ემზარ საბანაძემ და ჯემალ გახოკიძემ საქართველოს ტერიტორიაზე თურქეთის რესპუბლიკის ავტომანქანებით ტვირთების გადატანისა და მგზავრების გადაყვანის კანონიერების საკითხების შესწავლის მითითება მიიღეს. მათვე დაევალათ ამ პრობლემების მოსაგვარებლად შესაბამისი წინადადებების შემუშავება და წარმოდგენა.

ტრასებზე სასწრაფო სამედიცინო დახმარებისა და ავტოტექმომსახურების ბრიგადები იმუშავებს

— **საგზაო** პოლიციაში რეფორმა მიმდინარეობს. გზებზე წესრიგისა და სამგზავრო უსაფრთხოების დაცვის ფუნქციები ახლა პოლიციის რეგიონულ და რაიონულ სამსახურებს გადაეცათ, შემუშავდა საგზაო პოლიციის ახალი დებულება, პოლიციელად მიღების წესი. ვცდილობთ, აღმოვფხვრათ საგზაო პოლიციაში შემთხვევით, პროტექციით მიღების მავნე პრაქტიკა. შემცირდა ტრასებზე საგზაო საგუშაგოების რაოდენობა, სამაგიეროდ, შეიქმნა მოძრავი ოპერატიული რაზმები, რომლებიც დღედაღამ მორიგეობენ. მიმდინარეობს პირადი შემადგენლობის გაჯანსაღება.

ბოლო ხანებამდე, საგზაო პოლიციის საგამოცდო და ავტოტრანსპორტის რეგისტრაციის სამსახურები განსაკუთრებული კრიტიკის ობიექტები იყვნენ. გარკვეული გასამრჯელოს ფასად ნებისმიერ პიროვნებას მისცემდნენ მართვის მოწმობას. ახლა მართვის მოწმობების მისაღებად გამოცდებს ყველგან კვალიფიციური კომისიები იბარებენ, წინსვლა დაეტყო სანომრე ნიშნების გაცემისა და ავტომანქანის რეგისტრაციაში გატარების საქმესაც.

— დღეს მოქალაქე, პოლიციელის პირქუში გამომეტყველების გარდა, დიდ გადასახადებსაც უფრთხის?

— გადასახადები მართლაც დიდია. სანომრე ნიშნების საფასური 25 ლარამდე აღწევს. მინისტრის ბრძანებით, უახლოეს ხანში, გადაისინჯება ურთიერთობა იმ ფირმასთან, რომელიც, სამინისტროსთან დადებული ხელშეკრულებით, სანომრე ნიშნებს ამზადებდა. ჩვენი მიზანია, მთელი ამ პროცედურის საფასური კლიენტს 7-10 ლარი დაუჯდეს.

ემზარ საბანაძემ ერთ-ორ მეტად საინტერესო სიახლეზეც მომითხრო: ჯანდაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით, ავტომაგისტრალებზე სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადები იმუშავებენ.

ავტოხელოსნების სპეციალური ჯგუფები დღე-ღამის ნებისმიერ დროს დაზიანებულ მანქანას გზაზევე შეაკეთებენ.

ბევრი რომ არ იწვალოთ, ჯიბეები რომ არ გაიხადოთ!

— **ცვლილებას** განიცდის საპასპორტო-სავიზო სამსახურიც. ახლა საქართველოს მოქალაქის პასპორტის მისაღებად კაცს აღარ მოუხდება თელავიდან, ქუთაისიდან, ბათუმიდან თბილისში ჩამოსვლა, იგი ადგილზე, პოლიციის რეგიონულ სამმართველოში, წინასწარ განსაზღვრულ დროში, განსაზღვრულ ფასად ჩაიდებს ჯიბეში სასურველ პასპორტს. მოქალაქეებს ვთხოვთ, ყურადღება მიაქციონ ყოველი საპასპორტო-სავიზო სამსახურის შესასვლელში გამოკრულ მომსახურების პრეისკურანტს. თუკი მაინც მოატყუებენ, ჩვენ მოგვმართონ და მივიღებთ საჭირო ზომებს.

ამ სამსახურში ადრე დიდი დარღვევები იყო. ხდებოდა ყალბი დოკუმენტების გაცემა, სხვა მაქინაციები. ახლა ბევრი თანამშრომელი დავითხოვეთ. წლეულს, სამ თვეში, შარშანდელთან შედარებით სახელმწიფო ბიუჯეტში 6.000 დოლარით მეტი თანხა შევიდა...

ვილაპარაკეთ უბნის ინსპექტორის ინსტიტუტის, საკუთრების, ბუნების დაცვის, სახანძრო პრობლემებზეც.

* * *

კრიმინალური პოლიცია დამნაშავეობას ებრძვის. ადმინისტრაციული პოლიცია საზოგადოებრივ წესრიგს იცავს.

რომელი უფრო მნიშვნელოვანია? საკითხის ამგვარად დაყენება იმას ნიშნავს, რომ მარადიულ თავსატეხს დაუბრუნდე — კვერცხი უფრო ადრე გაჩნდა თუ ქათამი?

რა გამოირჩევა, ესაა მთავარი.

ზაურ მაკარაძე.

მორიგე რედაქტორი ბონდო მძინარაშვილი

გამომცემელი შპს „პრესა“ რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ვ. კოსტავას ქ. № 14. ინდექსი 66434. ტელ.: 99-37-24. მთავარი რედაქტორი გურამ გოგიაშვილი.